# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19(9.929)

13-20 ივნისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ეპიდსიტუაცია კახეთის რეგიონსა და საქართველოში

კახეთი კვლავ მწვანე ზონაა. კახეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, ნელი ხიზანიშვილის ინფორმაციით, თვითიზოლაციაში არ იმყოფება არცერთი მოქალაქე. 150 მოქალაქე იმყოფება საკარანტინე ზონაში 4 ლოკაციაზე. ლუგარის ლაბორატორიაში გაგზავნილი 20 ნიმუშის პასუხი ცნობილია და უარყოფითია.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით, 12 ივნისის მონაცემებით, თვითიზოლაციაში არ იმყოფება არცერთი მოქალაქე. 11 ადამიანის ანალიზი გაგზავნილია ლუგარის ცენტრში გამოსაკვლევად. რაც შეეხება საერთაშორისო გადაზიდვების მძღოლებს, ახალი რეგულაციების შესაბამისად, მათ საზღვარზევე უტარდებათ ყველა სახის საჭირო კვლევა.

რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ 12 ივნისის მონაცემებს: კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევაა - 837, მათ შორის გამოჯანმრთელებულია - 697, გარდაცვლილია - 13, კარანტინის რეჟიმში - 3026, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 297, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი საქართველოს მოქალაქეები - 3

## პირბადის გამოყენების სავალდებულო წესი !

73 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი - საქართველოს პარლამენტმა პირბადის ტარების სავალდებულო წესთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები მესამე მოსმენით 12 ივნისს დაამტკიცა. კანონპროექტი ხელმოსაწერად პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს გადაეგზავნება და ძალაში მხოლოდ ამის შემდეგ შევა. კანონპროექტით განისაზღვრება, რომ დახურულ საჯარო სივრცეში თავშეყრისას პირბადის ტარების წესის დარღვევა ან პირბადის არმქონე პირის დახურულ საჯარო სივრცეში დაშვება გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 20 ლარით, ხოლო დახურული საჯარო სივრცის მფლობელი იურიდიული პირი - 500 ლარით დაჯარიმდება. საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მეტროპოლიტენით და ტაქსით გადაადგილებისას პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის, მგზავრი და მძღოლი 20 ლარით დაჯარიმდებიან. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. მანამდე კი, 30 იანვარს ჯანმომ კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა. ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო. ის გამოწვეულია კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამით.

# საუკუნის პროექტი დასრულდა!



დედოფლისწყაროში საუკუნის პროექტად წოდებული ქედების ზონის გაზიფიცირების პროექტი დასრულდა. როგორც ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, ქედების ზონაში ბუნებრივი აირი კომუნისტების დროსაც არ ყოფილა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა სოფლებს: არხილოსკალოსა და ქვემო ქედს პირადად ეწვია, გაეცნო შესრულებულ სამუშაოებს და სოფლის მოსახლეობას შეხვდა.

ეკონომიკის მინისტრთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კახეთის სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქადაგიშვილი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ხელმძღვანელი მიხეილ შალამბერიძე, „სოკარ ჯორჯია გაზის" დირექტორის პირველი მოადგილე ანტონ სამსონიძე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი.

ეკონომიკის მინისტრმა სოფლის მოსახლეობას პირადად მიულოცა გაზიფიცირების სამუშაოების დასრულება და ის სახელმწიფო პროგრამებიც გააცნო, რომლებშიც მონაწილეობა შეუძლიათ, მათ შორის პროგრამა „აწარმოე საქართველოში".

როგორც ეკონომიკის მინისტრმა მოსახლეობასთან შეხვედრისას აღნიშნა, კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად, არც ერთი დღით არ შეჩერებულა გაზიფიცირების დიდი პროგრამა, მათ შორის კახეთის რეგიონში. მინისტრმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ოჯახებში გაზის ანთების სიმბოლურ ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიების ფარგლებში, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ორგანიზებით, სოფელ არხილოსკალოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, მარტოხელა დედას, მარიამ ბექაურს და ქვემო ქედში მცხოვრებ ნიკო ქისტაურის 4-შვილიან ოჯახს საჩუქრად გაზქურები გადაეცათ.

**„ძალიან მიხარია, რომ არსებითად დავასრულეთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის გაზიფიცირება. მქონდა შესაძლებლობა ამენთო გაზი სოფლებში - არხილოსკალოსა და ქვემო ქედში, ეს სიკეთე ახლა ამ სოფლებში 1300 ოჯახისთვისაა ხელმისაწვდომი. მთლიანობაში, კახეთის მხარეში ჩვენი გაზიფიცირების პროგრამის შედეგად, 150 000 - ზე მეტი ოჯახი ისარგებლებს ბუნებრივი აირით, რითიც კახეთის 95 პროცენტი დაიფარება. კახეთის მსგავსად, საქართველოს სხვა რეგიონებიც არსებითად იქნება გაზიფიცირებული"** - განაცხადა ნათია თურნავამ.

გაზიფიცირების მასშტაბური პროგრამის ფარგლებში გაზიფიცირების სამუშაოები დასრულდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 6 სოფელსა და 2 დასახლებაში :ზემო ქედში, ქვემო ქედში, არხილოსკალოში, საბათლოში, ფიროსმანში, სამთაწყაროში, ჭოეთსა და თავწყაროში. პროექტის ფარგლებში ჯამურად აშენდა 181 173 გრძივი მეტრი გაზსადენი, რომელიც 3203 ადგილობრივ მოსახლეს ბუნებრივი აირით სარგებლობის საშუალებას აძლევს. სამუშაოების ღირებულებამ 6 595 799 ლარი შეადგინა.

გაზიფიცირების 2019-2021 მასშტაბური გეგმის ფარგლებში კახეთის რეგიონში 19 სოფელი გაზიფიცირდება. ეს პროექტი ამ სოფლების მოსახლეობის ცხოვრებას მკვეთრად გააუმჯობესებს და შიდა მიგრაციის პროცესს შეაჩერებს, ასე ფიქრობენ ხელისუფლების წარმომადგენლები.

C M Y K

# დედოფლისწყაროში წყალმომარაგების საკითხი ერთ წელიწადში მოგვარდება

დედოფლისწყაროში წყალმომარაგების პრობლემა აქილევსის ქუსლადაა ქცეული. მოსახლეობა ყოველ ზაფხულს შიშით მოელის, რადგან იცის, რომ წყლის დეფიციტთან გამკლავება დედოფლისწყაროელებისთვის მიუღებელი გრაფიკით მოუწევს. როგორც 11 ივნისს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განაცხადა, **„დედოფლისწყაროში წყალმომარაგების საკითხი, დაახლოებით, ერთ წელში მოგვარდება. გადაწყდა, რომ მდინარე ივრის აუზიდან მოხდეს წყლის რესურსის შევსება. ამისთვის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად დალის მთის წყალსაცავი განიხილება**“- განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა. საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე **ლევან ბალაშვილი,** დადებითად უყურებს წყალმომარაგების პროექტის დაწყებას და აღნიშნავს, რომ **„ეს ყველა დედოფლისწყაროელისთვის საერთო და მტკივნეული პრობლემაა, მივესალმები მის განხორციელებას“, თუმცა, ის სრულად არ იზიარებს ადგილობრივი ხელისუფლების ოპტიმიზმს და აცხადებს, რომ „ამ პროექტის განხორციელებას არა ერთი, არამედ ორი წელი მაინც დასჭირდება“.**

# მგზავრობა გაძვირდა

8 ივნისიდან საქალაქთაშორისო მგზავრობა აღდგა. დედოფლისწყაროს ტაქსებმა მგზავრობის ძველი ტარიფი დააბრუნეს - ბილეთის ფასი 20 ლარიდან 10 ლარამდე შემცირდა.

დედოფლისწყარო-თბილისის სამარშრუტო ტაქსებმა მოძრაობა განაახლეს ოდნავ გაზრდილი ტარიფებით. აქ მგზავრებს 1 ლარით მეტის გადახდა მოუწევთ. მგზავრობის საფასური გააძვირა სოფლებთან დამაკავშირებელმა მუნიციპალურმა ტრანსპორტმაც. დედოფლისწყარო-ზემო მაჩხაანის მარშრუტის გავლისას მოქალაქეებს 1,50 ლარის ნაცვლად 2 ლარის გადახდა მოუწევთ. მგზავრობის საფასურის გაძვირებას მძღოლები მგზავრების ნაკლებობით ხსნიან. „მესამე დღეა, ნახევრად ცარიელი მარშუტკით დავდივარ. მოსახლეობა თავს იკავებს მგზავრობისგან, თუ აუცილებელი საქმე არ აქვს“-აცხადებს დედოფლისწყარო-თბილისის სამარშრუტო ტაქსის მძღოლი.

რეგიონების მოსახლეობა სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის დროებითმა აკრძალვამ პრობლემების წინაშე დააყენა. ზოგს სამედიცინო თვალსაზრისით ექიმთან ვიზიტი გადაუვადდა, ზოგიერთმა კი ნათესავების მონახულება ვერ შეძლო. როგორც მოსახლეობა აცხადებს, კერძო ტაქსებით გადაადგილება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და შეზღუდული ფინანსური მდგომარეობის პირობებში ადამიანებს ბევრ რამეზე უწევთ უარის თქმა.

ახალმა კორონავირუსმა და შემოღებულმა შეზღუდვებმა, მოსახლეობასთან ერთად, პრობლემები შეუქმნა სამარშრუტო ტაქსების მძღოლებსაც. შექმნილმა სიტუაციამ ისინი შემოსავლის გარეშე დატოვა.

მძღოლებიცა და მგზავრებიც იცავენ მთავრობის მიერ დადგენილ რეგულაციებს და ტრანსპორტში პირბადეებით მგზავრობენ.

# კახეთში კოღოს საწინააღმდეგო ღონისძიებები დაიწყო



კახეთის რეგიონში კოღოს საწინააღმდეგო ღონისძიებები დაიწყო. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს 11 ერთეული სპეციალიზებული ტექნიკა სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, გურჯაანისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში ფართობებს თერმული ნისლის ტექნოლოგიით ამუშავებს.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, რეგიონში კოღოს საწინააღმდეგო საშუალებით სულ 10 000 ჰექტარის დამუშავებაა დაგეგმილი. მათივე ცნობით, ღონისძიებები უსაფრთხოების წესების დაცვით, საღამოს საათებში მიმდინარეობს და ადგილობრივი თვითმმართველობები მოსახლეობას წინასწარ აფრთხილებენ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ აფენში ღონისძიებების მიმდინარეობას კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქადაგიშვილი სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამსახურის უფროსთან, კობა ჩიკვაიძესთან ერთად გაეცნო.

„ტრანსმისიური დაავადებების გადამტან მწერებთან ბრძოლის ღონისძიებები რეგიონის ხუთ მუნიციპალიტეტში, სადაც ზაფხულის პერიოდში დიდი რაოდენობით აღინიშნება, უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ღონისძიებები სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება“, - განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

კოღოს საწინააღმდეგო საშუალებით ლაგოდეხში ყველა სოფელი დამუშავდება გარემოს დამუშავება წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე ხორციელდება. ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი ავრცელებს.

# როგორ ჩატარდება არჩევნები პანდემიის პირობებში?

***2020 წლის 31 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებზე მისულ ამომრჩევლებს უბნებზე სიახლეები დახვდებათ. კომისიის წევრებს, ამომრჩევლებს, დამკვირვებლებსა და მედიას პირბადეების და დამცავი საშუალებების გარეშე უბანზე მუშაობის უფლება არ ექნებათ. როგორ აპირებს ცენტრალური საარჩევნო კომისია კორონავირუსის პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარებას, ამ და სხვა საკითხებზე „ინტერპრესნიუსს“*** ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია ესაუბრა.

**-ზოგადი სიტუაციის შეფასებით დავიწყოთ - წელს კორონავირუსის პანდემიის პირობებში გვიწევს საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. რა სიახლეები დახვდებათ ამომრჩევლებს უბნებზე?**

- ყველას ძალიან კარგად გვესმის, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები არის გადამწყვეტად მნიშვნელოვანი არჩევნები, ვინაიდან ამ არჩევნებზე განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის წამომადგენლობა. ცხადია, ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ არჩევნებსაც ძალიან მომზადებული ხვდება. ჩვენ ჯერ კიდევ შარშან დავიწყეთ 2020 წლის არჩევნებისთვის მომზადება. ჩატარებული გვაქვს ბევრი მნიშვნელოვანი სამუშაო, თუმცა, მთავარი გამოწვევა, რომელიც ამ არჩევნებზე ცესკოს წინაშე დადგა, პანდემია გახლავთ და ის ეპიდემიოლოგიური სიტუაცია, რომელმაც გადაავადა ისეთი მნიშვნელოვანი აქტივობები, მაგალითად, როგორიც არის ახალგაზრდების განათლება და ჩართულობის ხელშეწყობა არჩევნებში, ასევე ზოგადად მოქალაქეების მომზადება საარჩევნო პროცესისთვის. აქ იგულისხმება ის ტრენინგები და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც ჩვენ გვქონდა დაგეგმილი, თუმცა ამ ყველაფერმა სამწუხაროდ, გაზაფხულის ნაცვლად ზაფხულის პერიოდისთვის გადაიწია. შესაბამისად, ძალიან ინტენსიური შრომის გაწევა მოგვიწევს უფრო მოკლე პერიოდში, ვიდრე ეს შეგვეძლო მთელი წლის განმავლობაში გაგვეწია.

**- როდის დაიწყება ტრენინგების ჩატარება და კონკრეტულად ვისთვის იქნება ეს განკუთვნილი?**

- ზამთარში მოვახერხეთ და გავხსენით ახალგაზრდებისთვის საარჩევნო განვითარების სკოლები პანდემიამდე, თუმცა, ასევე ვგეგმავთ, რომ ზაფხულშიც გავხსნათ ეს სკოლები 25 ლოკაციაზე. დაახლოებით, 500 ახალგაზრდა გვინდა მოვამზადოთ. ისინი მზად იქნებიან ნებისმიერი კუთხით ჩაერთონ საარჩევნო პროცესში, მათ შორის, შეიძლება გახდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებიც. ასევე გამოცხადებული გვქონდა ღია კონკურსი ნებისმიერი მოქალაქისთვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად პოტენციური წევრებისთვის, რომლებიც შეიძლება იყვნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები. 11 ათასი მოქალაქის განცხადება მივიღეთ, რომ მათ გაევლოთ ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის პროცედურებზე, იგულისხმება საარჩევნო დღის პროცედურები. სამწუხაროდ, პანდემიის გამო ნაცვლად გაზაფხულის თვეებისა, ამ ტრენინგების ჩატარება გვიწევს 15 ივლისიდან. მანამდე რა მზაობაც არის ცესკოში, ეს გახლავთ კიბერუსაფრთხოებისთვის მომზადება, რომელიც გულისხმობს ამომრჩეველთა მონაცემების, ცესკოში დაცული ნებისმიერი პერსონალური ინფორმაციის და მათ შორის, ცხადია, არჩევნების დროს შედეგების კიბერუსაფრთხოებას. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია იქნება ერთ-ერთი ყველაზე მომზადებული ინსტიტუცია 2020 წლის არჩევნებისთვის და კიბერუსაფრთხოებისთვის. ცხადია, ბევრ დეტალს ვერ გავაჟღერებ, თუმცა, ვიტყვი, რომ გვეხმარება ამერიკელი ხალხი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო, USAID, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი. გვექნება უსაფრთხოების გამართული სისტემა და რაც მთავარია საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები იქნებიან მომზადებულები კიბერჰიგიენაზე.

**- არჩევნების პერიოდისთვის ეპიდემიოლოგები კორონავირუსის მეორე ტალღას ელოდებიან. რა შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს ამომრჩევლებისთვის, კომისიის წევრებისა და დამკვირვებლებისთვის? რა სიახლეები დაგვხვდება არჩევნების დღეს უბნებზე?**

- ცხადია, პრიორიტეტი არის ამომრჩევლის უსაფრთხოება, რაც მაქსიმალურად გარანტირებული უნდა იყოს. ცესკოს ბევრი დისტანციური სერვისი აქვს უკვე განხორციელებული, მათ შორის პილოტურ რეჟიმში, იქნება ეს დამკვირვებელთა დანიშვნა, მედიის წარმომადგენლების აკრედიტაცია, საერთაშორისო დამკვირვებელთა აკრედიტაცია, პოლიტიკური პარტიების დანიშნული წევრების ნომინირება და დანიშვნა, თუ პარტიების წარმომადგენლების ყველა ოლქსა და უბანში დანიშვნა, რისი საერთო რაოდენობაც საბოლოო ჯამში აღემატება 100 ათასზე მეტ ადამიანს და რომელიც ონლაინრეჟიმში ხორციელდება. ამას ემატება კომისიის წევრები, 44 ათასი წევრის ნახევარი, რომლებსაც პარტიები ნიშნავენ, ეს არის მოცულობითი პროცესი, რომლის განხორციელების შესაძლებლობაც ცესკოს გააჩნია და დატესტილიც გვაქვს წინა არჩევნების დროს. ეს მოხდება დისტანციურად ონლაინ რეგისტრაციების მეშვეობით და გამორიცხავს პანდემიის საფრთხეს. რაც შეეხება არჩევნების დღეს, უბანზე მისულ ამომრჩეველს და კომისიის წევრებს, ცხადია, ეს არის ზუსტად ის გამოწვევა, რომელზეც ცესკო თვეებია ფიქრობს და მუშაობს. შევისწავლეთ სხვადასხვა საერთაშორისო პრაქტიკა და ვნახეთ, რომ დაახლოებით, 50-ზე მეტმა ქვეყანამ, მათ შორის ძალიან განვითარებულმა ქვეყნებმა გადაავადეს არჩევნები, ვინაიდან იყო იმდენად სერიოზული საფრთხე, რომ არჩევნები ვერ ჩატარდა. თუმცა, იყვნენ ქვეყნები, რომლებმაც არ გადადეს და პანდემიის პერიოდში ჩაატარეს, ის ალტერნატიული ღონისძიებები გაატარეს და ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვით ჩაატარეს. სამხრეთ კორეა ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, თუმცა, ცხადია, იმ წელს, როდესაც არჩევნები ტარდება ასეთი ალტერნატიული მეთოდების დანერგვა ვერ ხდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვისკონსის შტატში ძალიან სწრაფად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პრაიმერიზის არჩევნებისთვის, საფოსტო ხმის მიცემაზე გადასულიყვნენ და დაახლოებით 12 მილიონი ადამიანი ბიულეტენის გარეშე დარჩა, რადგან ამის მენეჯმენტი ვერ განახორციელეს. ალტერნატიული მეთოდით არჩევნების ჩატარების საკითხი ერთ წელიწადში და 6 თვეში არ წყდება, ამას პირველ რიგში სჭირდება პოლიტიკური კონსენსუსი, კანონმდებლობა, პილოტები და დანერგვა.

**- პანდემიის საფრთხიდან გამომდინარე, ხმის მიცემის ალტერნატიული მეთოდების შეთავაზება ამომრჩევლისთვის საპილოტე რჟიმშიც არ იგეგმება?**

- ვერ იქნება, რადგან ამ საკითხზე არც კი დაწყებულა პოლიტიკური დისკუსია, არათუ კონსენსუსსა და საკანონმდებლო გარანტიებზე საუბარი. ეს საკითხი 2020 წლის არჩევნებისთვის არ დგას დღის წესრიგში. თუმცა, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია პანდემიის შემთხვევაში ის რეკომენდაციები და მოთხოვნები, რომელიც ერთი მხრივ, აქვს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და მეორე მხრივ, ქვეყანაში ჩვენს ეპიდემიოლოგებს და ჯანდაცვის სისტემას. პირველ რიგში, უნდა ვიფიქროთ ამომრჩეველზე. აქ შემიძლია გითხრათ, რომ ყველაზე ნაკლებად საფრთხის შემცველია, მათ შორის პანდემიის პირობებში, ამომრჩევლისთვის უბანზე მისვლა, ვინაიდან, ამომრჩეველს არ უწევს 15 წუთზე მეტი კონტაქტის განხორციელება საარჩევნო უბანზე. ჩვენ ვითვლით ხოლმე და ვიცით, რომ ამომრჩეველს სჭირდება დაახლოებით, 5-10 წუთი რომ შევიდეს უბანზე, მოხდეს მისი იდენტიფიცირება და განახორციელოს ხმის მიცემა. შესაბამისად, 15 წუთზე და ნაკლები დროის კონტაქტი არ ითვლება რისკის მქონე კონტაქტად. თუმცა, როდესაც უბანზე რიგი იქნება, უნდა იყოს რეკომენდაცია, რომ დავიცვათ ფიზიკური, სოციალური დისტანცია, მაგრამ შიგნით, უბნებში სამწუხაროდ, სოციალური დისტანციის დაცვა შეუძლებელი იქნება. ამის საშუალებას საუბნო კომისიების ინფრასტრუქტურა არ იძლევა. თუმცა, მნიშვნელოვანი იქნება პირბადის ტარების მოთხოვნა, რაც ანაცვლებს სოციალურ დისტანციას. მეორე მხრივ, ასევე ვფიქრობთ, რომ საუბნო საარჩევნო კომისია აღჭურვილი უნდა იყოს სადეზინფექციო საშუალებებით და ეს ამომრჩეველსაც შევთავაზოთ.

*/გაგრძელება. გვ.3/*

# როგორ ჩატარდება არჩევნები პანდემიის პირობებში?

*/დასაწყისი. გვ.2/*

ასევე, თუ ამომრჩეველი თავად არ მოვა უბანზე პირბადით, ჩვენ უნდა შევთავაზოთ პირბადეც. იმისთვის, რომ ამომრჩევლის აქტივობა არ იყოს დაბალი, თავად ვგეგმავთ უზრუნველვყოთ ამომრჩეველთა უსაფრთხოება.

**– იქნება თუ არა უბნებზე თერმოსკრინინგი და რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველს, დამკვირვებელს ან კომისიის წევრს ტემპერატურა დაუფიქსირდება?**

- რა საკითხებზეც ახლა ვსაუბრობ, ეს არის ჩვენი მოსაზრება და არც ერთ ამ საკითხზე ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მათ შორის, არც თერმოსკრინინგთან დაკავშირებით. როგორც საკითხი დასმულია, მაგრამ იქნება თუ არა თერმოსკრინინგი, ამაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა. საკითხის გადაწყვეტა აუცილებლად უნდა მოხდეს კოორდინირებულად, შესაბამის პროფესიონალებთან ერთად. ჩემი პირადი აზრია, რომ შეუძლებელია სიცხის გამო ამომრჩეველს ჩამოვართვათ ხმის მიცემის უფლება. ჩვენ არ ვიცით, რა არის სიცხის მიზეზი და ამის გამო კონსტიტუციურად გარანტირებული ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა იქნება ძალიან რთული საკითხი, მითუმეტეს იმ პირობებში, რომ ამომრჩეველს 5-10 წუთიანი კონტაქტი უწევს უბანზე. ეს საკითხი ჩვენ უნდა გავიაროთ კომისიასთან.

**- ანუ სიცხიანი ამომრჩევლებისთვის ცალკე, იზოლირებული სივრცე ხმის მისაცემად არ იქნება?**

-დასაზუსტებელია, თუმცა ამ ეტაპზე საუბარი არ არის მათთვის ცალკე, იზოლირებული სივრცის შექმნაზე. რაც შეეხება კომისიის წევრებს და დამკვირვებლებს, ალბათ, აუცილებლად იქნება გარკვეული თვითრეგულაცია გასაკეთებელი, რომ გადაამოწმონ საკუთარი თავი უბანზე მისვლამდე. ჩვენ მინიმუმ 30 დღით ადრე ვიცით არჩევნებამდე, ვინ არიან კომისიის წევრები და შესაძლებელია მათი დამატებითი გამოკვლევაც.

**- მათ შორის PCR ტესტის ჩატარებაც?**

- ჩვენ ამაზე შესაბამისი მოლაპარაკებები უნდა გავმართოთ. 44 ათასი წევრი გვეყოლება საუბნო საარჩევნო კომისიებში. შესაძლებელია ამ საკითხის განხილვა, თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიებსაც ჩვენ დავაკისრებთ ვალდებულებას, რომ მაქსიმალურად გააკონტროლონ საკუთარი თავი, მათ შორის არჩევნების დღემდე, რომ არ იყოს რაიმე რისკი, რაც საფრთხის წინაშე დააყენებს ამომრჩევლებს.

**- საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები აქამდეც ხომ არ შემოწმებულხართ კორონავირუსზე?**

- საბედნიეროდ, ადმინისტრაციის არც ერთი წარმომადგენელს არ ჰქონია ასეთი რისკი და ბედნიერები ვართ, რომ დაცულები ჯერჯერობით ვართ.

**- იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების დღეს კომისიის რამდენიმე წევრს დაუფიქსირდება ტემპერატურა და ვირუსისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რა ხდება და რამდენად შესაძლებელია მათი ჩანაცვლება?**

- ძალიან მძიმე სურათზე ვსაუბრობთ და ნამდვილად არ მაქვს ასეთი მოლოდინი. პროცედურულად გიპასუხებთ - 12 წევრია საუბნო საარჩევნო კომისიაში და მინიმუმ 7 წევრით და ნაკლებითაც არის შესაძლებელი საუბნო-საარჩევნო პროცედურების განხორციელება, რომელსაც კანონი ადგენს. შესაძლოა, სხვა მიზეზის გამოც ვერ მოვიდეს კომისიის წევრი, მაგრამ კანონი იძლევა შესაძლებლობას, რომ თუკი კომისიის წევრი ვერ გამოცხადდება, მცირდება რეგისტრატორების რაოდენობა, თუ კიდევ აკლია წევრთა რაოდენობა, მოადგილე ითავსებს გარკვეულ უფლებამოსილებას და ა.შ. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი შესაძლებელია პროცედურულად მოგვარდეს.

**- საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ხომ არ იქნება კონკრეტული ვალდებულებები შესასრულებელი? თუ მიმდინარეობს ამაზე მუშაობა და ხომ არ ექნებათ სპეციალური ტანსაცმელი მათ?**

- საუბნო საარჩევნო კომისიისთვის ჩვენ ვიხილავთ აუცილებლად ხელთათმანების გამოყენების საჭიროებას. მათ უწევთ შეხება კალმებთან, ბიულეტენებთან, კონვერტებთან, რომელთანაც შეხება სხვადასხვა პირებს უწევთ, შესაბამისად, სწორედ ამომრჩევლების უსაფრთხოებისთვის ჩვენ ვიხილავთ ამ საკითხს, რომ კომისიის წევრებმა ყველა ის პროცედურა, რაც არჩევნების დღეს უნდა ჩატარდეს, სწორედ ხელთათმანით შეასრულონ. რაც შეეხება სპეცეკიპირებას, ასევე ვფიქრობთ, რომ პანდემიის პირობებში დასჭირდებათ პირბადის გამოყენება, დეზინფექტორების გამოყენება. ასევე ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ჩვენ უკვე მოვახდინეთ უბნების შესწავლა ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, რაც უკავშირდება ბუნებრივ ვენტილაციას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დღემდეც და ალბათ, მომავალშიც დარჩება პირველი ხარისხის რეკომენდაციად, რომ ჩვენ უნდა მოვახერხოთ ბუნებრივი ვენტილაციის მქონე საუბნო საარჩევნო ინფრასტრუქტურის შერჩევა. ძალიან რთული იქნება ბუნებრივი ვენტილაციის გარეშე უსაფრთხოების ნორმები მაღალ დონეზე იყოს დაცული.

**- აქედან გამომდინარე შესაძლებელია შეიცვალოს უბნების ადგილმდებარეობა?**

- აქამდე 1121 სკოლაში იყო განთავსებული დაახლოებით, 1900-მდე უბანი. ასევე, დაახლოებით, 500-მდე უბანი იყო განთავსებული 400-მდე ბაგა-ბაღში. ჩვენ ამ საკითხში კოორდინაციაში ვართ როგორც თვითმმართველობებთან, ასევე უწყებებთან, რომ იქ, სადაც გვაქვს ძალიან პატარა სივრცეები, ჩვენ ალტერნატივის შემთხვევაში გამოგვიყონ სხვა ფართები. 200-მდე უბანი სტანდარტს ახლა ვერ აკმაყოფილებს. ასევე, არის უბნები, რომელიც მოსაძიებელი გვაქვს. ინფრასტრუქტურის პრობლემა წლებია საარჩევნო კომისიების წინაშე დგას. არაერთ სოფელში პრაქტიკულად შეუძლებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოძებნა კომფორტული უბნის განსათავსებლად. მაგრამ უბნების გაზრდა მე არ მესახება შესაძლებლად, რადგან ინფრასტრუქტურა მწირია. პირიქით, უბნების რაოდენობის შემცირების რეკომენდაციაც კი გვქონდა წინა წლებში, რადგან ინფრასტრუქტურული პრობლემები არ ყოფილიყო. ამას გარდა, დამატებით ადამიანურ რესურსს დავზოგავდით. გარდა ამისა, თბილისში ხშირად გვიწევს უბნის ქირაობა. მაგალითად, ჩუღურეთის რაიონში გვქონდა პრობლემა და უჭირთ სახელმწიფო ორგანოებს და თვითმმართველობებს საკმარისი რაოდენობის უბნებისთვის ფართების გადმოცემა. ჩვენ წელს შესაძლოა, 300 უბნის დაქირავება მოგვიწიოს, რისი ფართებიც მოსაძიებელია. არის შემთხვევები, როდესაც სკოლებსა ან დაწესებულებებში რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს, შესაბამისად, მასაც ვერ გამოვიყენებთ. ეს ცოცხალი პროცესია.

**- ბოლო პერიოდში ვხედავთ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მოწოდების მიუხედავად უსაფრთხოების წესებს არ იცავს, მათ შორის, არ იყენებს პირბადეს. როდესაც საუბრობთ, რომ კომისიის წევრებს და დამკვირვებლებს უბანზე ყოფნისას პირბადის და ხელთათმანის გამოყენების ვალდებულება ექნებათ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდაცია არ შესრულდება. შესაძლებელია, რომ ისინი დაჯარიმდნენ?**

- ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იქნება და მოგვიწევს ეს კონკრეტული რეგულაციით დავადგინოთ, რომელსაც თავისი სამართლებრივი ფორმა ექნება. თუ ისინი იმ წესს, რომელიც ზემდგომი ორგანოს მიერ დადგინდება, დაარღვევენ, ჯარიმებს რომ არ შევხედოთ, ეს ელემენტარული დისციპლინური გადაცდომა იქნება. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ წესი, რომელიც დადგინდება, რომელიმე უბნის კომისიის წევრმა დაარღვიოს. მაქსიმალურად იქნებიან გაფრთხილებული როგორც თავმჯდომარეები, ასევე დამკვირვებლები და მობილური ჯგუფები ამ საკითხს მეთვალყურეობა გაუწიონ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ითვალისწინებს ამომრჩევლის იდენტიფიცირებას, როდესაც ის უბანზე შედის, მათ შორის რეგისტრატორთანაც, როდესაც წარადგენს პირადობის მოწმობას, ამ მომენტისთვის, მან აუცილებლად უნდა მოიხსნას ერთი წუთით პირბადე, რომ არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ სანდოობის საკითხი.

**- რაც შეეხება დამკვირვებლების რაოდენობას. პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, ხომ არ არის შესაძებელი, რომ უბნებზე მათი რაოდენობა შეიზღუდოს?**

- გამოვრიცხავ, რომ შევეხოთ დამკვირვებლების იმ უფლებას, რომლის მიხედვითაც ისინი პროცესს უნდა დააკვირდნენ. ფაქტობრივად, გამოდის, რომ უნდა შევეხოთ გამჭვირვალობის პრინციპს. მე, პირადად ვფიქრობ, რომ შეზღუდვები არ უნდა იყოს, მაგრამ ზოგადი წესები, რომელიც პანდემიის პრევენციისთვის არის გათვალისწინებული, რა თქმა უნდა, დამკვირვებლებმაც უნდა გაიზიარონ, ასევე პოლიტიკური პარტიების და მედიის წარმომადგენლებმაც. გავიხსენებ, რომ მარნეულის ერთ-ერთ უბანზე სამსართულიან დგომას ჰქონდა ადგილი. პირველ სართულზე ვგულისხმობ, როდესაც დამკვირვებლები ჩვეულებრივ იდგნენ, მეორე სართული იყო, როდესაც სკამებზე იდგნენ და მესამე სართული, როდესაც პროცესს ფანჯრებზე შემხტარი დამკვირვებლები აკვირდებოდნენ. გვქონდა ასეთი შემთხვევაც. ისეთი შემთხვევაც იყო, როდესაც საინტერესო ფაქტი მოხდა და ყველა მედია ერთდროულად მივიდა, თუმცა შეთანხმდნენ, რომ როტაციის პრინციპით შესულიყვნენ უბანზე. ეს ეთიკის და შეთანხმების საკითხია.

**- რამდენად განიხილავთ საკითხს, რომ უბნებზე ამომრჩეველსა და რეგისტრატორებს შორის შუშის ბარიერი განთავდეს?**

- ბარიერების და მისაღებების მოწყობას აქტიურად ვგეგმავთ საოლქო საარჩევნო კომისიებში იმიტომ, რომ იქ უფრო ხანგრძლივ პერიოდში უწევთ მოქალაქეებს ურთიერთობა სხვადასხვა მიზნებისთვის. უბნებთან მიმართებაში ასეთი საკითხი ჯერ არ განგვიხილავს, ვინაიდან ამომრჩეველს ძალიან მცირე დროით უწევს კონტაქტი.

**- რაც შეეხება საარჩევნო კაბინებს, ხომ არ იგეგმება სხვაგვარად საარჩევნო კაბინების მოწყობა და როგორ იქნება კაბინებში დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები? უსაფრთხოების რა ზომებს მიმართავთ ინვენტართან დაკავშირებით, რომელსაც ამომრჩეველი ეხება, მათ შორის კალმებთან დაკავშირებითაც?**

- ჩვენი კაბინა მაქსიმალურად არადახურულია, მხოლოდ ის ნაწილია დაფარული, სადაც ხმის მიცემა ხდება. თან, არსებული კაბინები ადვილად იძლევა ვენტილაციის საშუალებასაც. რაც შეეხება კალამს და ბიულეტენს, ვფიქრობთ, რომ ამომრჩეველი სანამ პროცედურებს გაივლის, ხელის დეზინფექცია ჩაუტარდეს, რომ საგნების შეხებამდე ხელი სუფთა იყოს. ასევე განვიხილავთ რაღაც პერიოდულობით კაბინის და საგნების დეზინფექციაც მოხდეს, მაგრამ არა ყოველი ამომრჩევლის შესვლის შემდეგ. ეს შეუძლებელი იქნება იმ დროში, რა დროშიც ხმის მიცემა უნდა განხორციელდეს.

**- ეპიდემიოლოგების მოწოდებაა, ხელები ხშირად დავიმუშაოთ სადეზინფექციო ხსნარით, ამ შემთხვევაში, ხომ არ აპირებთ ლაბორატორიულ კვლევას, რამდენად დაკარგავს ფუნქციას მარკირების სითხე სადეზინფექციო ხსნარის გამოყენების შემთხვევაში? წინა წლებში იყო შემთხვევა, როდესაც უბანზე მისულ ამომრჩეველს მარკირების გავლა დაუფიქსირდა მაშინ, როცა თავად აცხადებდა, რომ მარკირების პროცესი არ გაუვლია და მხოლოდ მანდარინთან ჰქონდა შეხება.**

- მეცინება ხოლმე, როდესაც ამ შემთხვევებზე ვსაუბრობთ, რადგან მახსოვს, როგორ ვისვამდით ხელზე ცესკოში მანდარინებს და ფორთოხლებს. ვამოწმებდით, ეს ნამდვილი ინფორმაცია იყო თუ ყალბი. წასმულ მანდარინს ჩვენი ფანრის დანათების შემდეგ ვერ ვხედავდით. რაც შეეხება მარკირების სითხეს, ეს კითხვა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც გაგვიჩნდა და საქართველოში წლების განმავლობაშიც ისმებოდა. მარკირება ქვეყანაში შემოვიდა 2003 წლის არჩევნებზე, მას მერე ცდილობდნენ მარკირების ხსნარის წაშლას სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის 100%-იანი სპირტის ხსნარით, ე.წ. აცეტონებით და სხვადასხვა ქიმიური საშუალებებითაც. ამის საჯარო ტესტირებაც კი იყო პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, რამდენად შეიძლებოდა წაშლილიყო ის. რა თქმა უნდა, შესაძლებელია საკითხის ლაბორატორიული კვლევა. კვლევის ჩატარებამდე, მე პირადად და ჩემმა თანამშრომლებმა შევამოწმეთ ის დეზინფექციის საშუალებები, რომელიც დღეს არის ხელმისაწვდომი ბაზარზე, დავისხით ხელზე, ვშალეთ და ვერ წავშალეთ. თუმცა, ცხადია, სხვადასხვა შემადგენლობის სადეზინფექციო საშუალებები არსებობს და ყველა შემთხვევას გავითვალისწინებთ და გამოვრიცხავთ. ახლა მიმდინარეობს მარკირების ახალი სითხის შეძენა და ამის შემდეგ საჯაროდ ვაჩვენებთ ყველას, მათ შორის პოლიტიკურ პარტიებსაც რამდენად მყარია ეს სითხე. არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ჩემი პირადი მოსაზრებით, ბიომეტრიული რეგისტრაციების, პრაქტიკულად 100%-იანი დაზუსტებული სიის პირობებში მარკირების სითხემ უკვე დაკარგა ის ფუნქცია, რაც თავის დროზე 2003 წელს ჰქონდა და რა მიზნებისთვისაც ის შემოვიდა. რაც ცესკოს თავმჯდომარე ვარ, ერთი საჩივარიც არ მახსოვს მათ შორის პოლიტიკური პარტიებისგან, რომ სიაში რომელიმე პირის ორჯერსამჯერ ან მრავალჯერადად ყოფნა გაესაჩივრებინოთ. ერთი ადამიანი რომ ერთხელ არის სიაში, ეს არის გარანტია, რომ მრავალჯერადად ხმის მიცემა გამორიცხულია. როცა მარკირების სითხე შემოვიდა, სწორედ სიების მოუწესრიგებლობა იყო მთავარი პრობლემა. თუმცა, უნდა იყოს თუ არა მარკირება, ეს ისეთი საკითხია, რომლის გადაწყვეტა ჩვენ არ შეგვიძლია. ეს პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილია და როგორც ვიცი ხსნარის ამოღების მზაობა არ არის. ჩვენ რაც შეგვიძლია არის ის, რომ ჩავატარებთ ყველა პრაქტიკულ ტესტს პროცედურის ისე ჩასატარებლად, როგორც კანონი მოითხოვს. მათ შორის შესაძლებელია ლაბორატორიული კვლევაც.

**- საინტერესო საკითხია, როგორ მისცემენ ხმას არჩევნებში კოვიდინფიცირებულები და საკარანტინე ზონებში განთავსებული პირები. მოემსახურებათ თუ არა მათ გადასატანი ყუთი და ხომ არ დარჩება ამომრჩეველთა ეს ნაწილი ხმის მიცემის გარეშე?**

- თუკი კარანტინი მიიჩნევა სამკურნალო დაწესებულებად, შეიძლება გადასატანი ყუთის პრინციპის გამოყენება, მაგრამ ჩვენ ამ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ, რადგან კარანტინში მყოფებთან და განსაკუთრებით ბოქსირებულ პალატებში უკვე კოვიდინფიცირებულებთან დაკავშირებით, გამორიცხულია ჩვენ რაიმე გადაწყვეტილება მივიღოთ. იქ სრულად აკრძალულია კონტაქტი ამ ადამიანებთან. საჭიროა სპეციალური ეკიპირებაც. ამავდროულად უნდა ვიფიქროთ ჩვენი კომისიის წევრებზეც, რომელთა უსაფრთხოებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ის საკითხია, რომელიც ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, როგორ მოხდება კარანტინში მყოფი პირებისა და კოვიდინფიცირებულთა მიერ ხმის მიცემა. ამაზე ჩვენ კონსულტაციები დაგვჭირდება.

**- გამორიცხავთ, რომ ისინი ხმის მიცემის გარეშე დარჩნენ?**

- ამ ეტაპზე ვერაფერს გამოვრიცხავ, გადაწყვეტილება მიღებული არ არის. თუკი სრულად აკრძალული იქნება ბოქსირებულ პალატაში კოვიდინფიცირებულთან კონტაქტი, მაშინ მე ვერ წარმომიდგენია იქ კომისია შევუშვათ. საკანონმდებლო ჭრილშიც შეიძლება იყოს ეს საკითხი გადასაწყვეტი. ძალიან რთული, ახალი საკითხია, რომელიც ამ ეტაპზე არ არის კანონმდებლობის ჭრილში განხილული. ეს საკითხი უკვე დავაყენეთ და ვფიქრობთ, საკანონმდებლო ორგანოში ამის განხილვა მოხდება. აქ დიფერენცირების საკითხიც გასარკვევია. მაგალითად, მხარდაჭერის მიმღები პირები, რომლებიც სტაციონარში არიან განთავსებულები, არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ. ამის სიებს ჩვენ გვაწვდის შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი და ხდება დიფერენცირება, რადგან არიან მხარდაჭერის მიმღები პირები, ვისაც ასევე შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ვინც სტაციონარში იმყოფება, ის მძიმე ფორმად ითვლება და ამ შემთხვევაში ხმას არ აძლევენ.

**- ასევე უნდა გკითხოთ ექიმებთან დაკავშირებითაც, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნე-**




**ბის დროისთვის კლინიკების უმრავლესობას კარანტინი ექნება გამოცხადებული და იქ მომუშავე ექიმებს არ ექნებათ სამედიცინო დაწესებულების დატოვების უფლება? შესაძლებელია კონკრეტული კლინიკებისთვის სპეციალური უბნები ადგილზევე გაიხსნას და სამედიცინო პერსონალს ხმის მიცემის საშუალება მიეცეთ?**

- სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი გვაძლევს ინფორმაციას, რა რაოდენობის ამომრჩეველია დაწესებულებაში. თუ არის 50 ან მეტი ამომრჩეველი, იქ უბანი უნდა გაიხსნას. ასევე არის შემთხვევები, როდესაც გადასატანი ყუთი მიდის სამკურნალო დაწესებულებაში და ამ შემთხვევაშიც ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება დაწესებულების ხელმძღვანელს აქვს. ეს ხდება არჩევნებამდე 5-6 დღით ადრე, რომ განისაზღვროს ვის დაჭირდება ხმის მიცემა.

**- რაც შეეხება საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩეველს, კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, როგორ უზრუნველყოფთ ამ პროცესის განხორციელებას და ხომ არ არის მოსალოდნელი, გარკვეულ ქვეყნებში უბნებიც საერთოდ ვერ გაიხსნას?**

- უსაფრთხოების ყველა ზომას როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც დავიცავთ, მათ შორის ჰიგიენური საშუალებების, დეზინფექტორების და ხელთათმანების გამოყენების კუთხით. ამ ყველაფერს გავუგზავნით საუბნო საარჩევნო კომისიებს და ამაში საგარეო საქმეთა სამინისტრო ძალიან აქტიურად დაგვეხმარება. საზღვარგარეთ ამომრჩევლის აქტივობა გაცილებით დაბალია, 44 ქვეყანაში გავხსენით 61 უბანი წინა არჩევნებზე, საიდანაც 4 ქვეყანაში კომისიაც კი ვერ დავაკომპლექტეთ, იმდენად მცირე იყო ამომრჩეველთა რაოდენობა. საბოლოო ჯამში, 40 ქვეყნის 57 უბანზე ჩავატარეთ 2018 წელს არჩევნები. ამ 57 უბანზე ჯამში მონაწილეობს 7-დან 10 ათასამდე ამომრჩეველი. შესაბამისად, ის მომენტი, რომ საარჩევნო უბნები გადატვირთული იყოს, ნაკლებად მოსალოდნელია.

**- თუმცა, უსაფრთხოებიდან გამომდინარე რამდენად მოგვცემენ თვითონ ქვეყნები უბნების გახსნის საშუალებას?**

- ძალიან რთულია ამ შემთხვევაში წინასწარ განვსაზღვროთ, რომელ ქვეყანაში როგორ იქნება. ქვეყნებს სხვადასხვა სპეციფიკა აღმოაჩნდათ პანდემიის პირობებში, ამიტომ ამ საკითხს ცხადია, ინდივიდუალურად გავივლით საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად და კონკრეტული შემთხვევებისთვის ინდივიდუალური გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

**- კიდევ ერთი საკითხი ოპოზიციური პარტიების ნაწილის მოთხოვნას ეხება, როდესაც ისინი ამბობენ, რომ ამომრჩევლებს საარჩევნო უბანზე ტელეფონების შეტანის უფლება არ უნდა ჰქონდეთ, ამის მიზეზად კი ე.წ. კოორდინატორებისგან დავალებას ასახელებენ, რომ ამომრჩეველმა ფოტოსურათი გადაუღოს ბიულეტენს, რათა დარწმუნდნენ, რომ ხმა სასურველ კანდიდატს მისცა. რამდენად არის შესაძლებელი, რომ ტელეფონების შეტანა უბანზე აიკრძალოს და ამ კუთხით ოპოზიციის ნაწილის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს?**

- ეს უფრო არის ამომრჩეველზე ზეგავლენის და კონტროლის საკითხი, რაზეც აუცილებლად გვექნება პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრა, მაგრამ ძალიან რთული იქნება საუბნო საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ ტელეფონების ჩამორთმევა და მისი შესაბამისი წესით შენახვა. მაშინ ყველა უბანზე უნდა არსებობდეს კარადები ამ ნივთების შესანახად. აქ საკითხი გადის განათლებაზე, რადგან ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, რომ შეუძლებელია მისი ნების კონტროლი, არავის აქვს უფლება ვინმემ გაამჟღავნოს ვის მისცა ხმა და ამას ვერავინ დაადგენს ფარულობის პრინციპის გათვალისწინებით. ბევრჯერ გვინახავს, როდესაც თვითონ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იღებენ ბიულეტენებს და შემდეგ სოციალურ ქსელში ათავსებენ მას, ამას თუ არ გააკეთებენ, ძალიან კარგ მაგალითს მისცემენ ამომრჩეველსაც.

**- რაც შეეხება ბიუჯეტს, რა თანხა არის გამოყოფილი ამისთვის და გაიზარდა თუ არა ბიუჯეტი კორონავირუსის გამო?**

- თანხა კორონავირუსის გამო არანაირად არ გაზრდილა. პირიქით, ძალიან მსხვილი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვთქვით უარი. მაგალითად იგეგმებოდა ახალი, მოდერნიზებული საარჩევნო ყუთების შესყიდვა და ეს პროექტი ვერ განხორციელდა. ასევე ვგეგმავდით სააქტო დარბაზის მოდერნიზაცია-რეკონსტრუქციას, მაგრამ ესეც ვერ განვახორციელეთ, შესაბამისად, ხარჯების დაზოგვა მოგვიწია. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. უშუალო კონტაქტი გვაქვს ჩვენს დონორებთან და ისინი ჰიგიენურ-სანიტარული ზომებისთვის დაეხმარებიან საარჩევნო ადმინისტრაციას. ცესკოს მთლიანი ბიუჯეტი 72 569 700 მილიონი ლარია, არჩევნების ჩატარების ღონისძიებებისთვის კი 32 349 928 ლარია გამოყოფილი. ამის ბიუჯეტები გაკეთებული გვაქვს.

# ბლოგი და ბლოგერები

ბლოგი არის ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ შექმნილი ვებ-საიტი, რომელიც განკუთვნილია რეგულარული ჩანაწერებისთვის. ჩანაწერი შეიძება იყოს ტექსტური სახის, ვიდეო ან აუდიო მასალა. ბლოგი, როგორც წესი, აღწერს სხვადასხვა მოვლენას, აძლევს მას ავტორისეულ შეფასებას, უკეთებს კომენტარს და სთავაზობს სხვებსაც განხილვის თემად; ზოგჯერ კი წარმოადგენს ონლაინ დღიურს, ავტორის პირად ცხოვრებაზე შექმნილს, მისი ყოველდღიური ცხოვრების აღწერს; გადმოსცემს ავტორის პირად განცდებსა და ისტორიებს. ტიპიური ბლოგი, როგორც წესი აერთიანებს ტექსტს, გამოსახულებას, ბლოგების, ვებ-საიტების ლინკებს, სხვადასხვა თემასთან დაკავშირებულ მედიას. ბლოგისთვის, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კომენტარების დატოვების შესაძლებლობა მკითხველებისთვის, რადგანაც ეს აახლოებს ბლოგერსა და მკითხველს, ხელს უწყობს მათ შორის დიალოგს. კარგი ბლოგერი ყოველთვის ითვალისწინებს მკითხველის კომენტარებს და ნელ-ნელა იხვეწება აღწევს პროგრესს მკითხველის ინტერესისა თუ გემოვნების დასაკმაყოფილებლად.

ბლოგების უმეტესობა ძირითადად ტექსტურია, შეიცავს ჩანაწერებს, მსჯელობას. თუმცა ზოგიერთი ბლოგი გარკვეული პროფილით მუშაობს, ორიენტირებულია, მაგალითად, ხელოვნებაზე - არტბლოგ, ფოტოგრაფიაზე - პჰოტობლოგ, ვიდეო მასალაზე — ვლოგ, მუსიკაზე - MP3 blog, აუდიო მასალაზე — podcasting. მიკრო-ბლოგი ბლოგის განსხვავებული ფორმაა, რომელიც შედგება ძალიან მოკლე ჩანაწერებისგან. აქვე უნდა გამოიყოს ბლოგების სხვადასხვა სახელწოდება შემცველობის მიხედვით: ვიდეომასალების შემცველ ბლოგს ეწოდება — ვლოგი (Vlog); ბმულების შემცველ ბლოგს ეწოდება — ლინკლოგი (linklog); ჩანახატების, მონახაზების ან/და ესკიზების შემცველ ბლოგს ეწოდება - სკეჩბლოგი (Sketchblog); ფოტოსურათების შემცველ ბლოგს ეწოდება - ფოტობლოგი (Photoblog); შერეული მედიის შემცველ ბლოგს ეწოდება — ტამბლოგი (Tumblelog). იშვიათი ტიპის ბლოგს, რომელიც დაფუძნებულია (hosted) გოფერის პროტოკოლზე, ეწოდება ფლოგი (Phlog). ბლოგები განსხვავდება იმითაც, თუ რა მოწყობილობაა გამოყენებული მათ შექმნაში. ბლოგს, რომელიც იწერება მობილური ტელეფონიდან შეიძლება ვუწოდოთ მობლოგი (Moblog). პირადი/პერსონალური ბლოგი შეიცავს ყოველდღიური მოვლენების ამსახველ ჩანაწერებებს პიროვნების მიერ (იგივე ონლაინ დღიური). ეს არის ტრადიციული, ყველაზე გავრცელებული ბლოგის ფორმა. ბლოგის წარმოებას გააჩნია სენტიმენტალური ხასიათი. ბლოგერი წერს თავის ცხოვრებაზე ან ნებისმიერ წვრილმანზე ყოველდღიურობიდან, ძირითადად სევდიანი განწყობით, ან ირონიულად. აქტიურად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას და მკითხველს ახედებს საკუთარ სამყაროში. ზოგიერთი პირადი ბლოგი ძალიან პოპულარული ხდება, მაგრამ უმეტესობა მხოლოდ გარკვეული აუდიტორიით შემოიფარგლება.

უმრავლეს შემთხვევაში ბლოგი პირადია, მაგრამ არსებობს ბიზნეს მიზნებისთვის შექმნილი ბლოგებიც. ასეთი ბლოგი კომპანიაში გამოიყენება შიდა კომუნიკაციისათვის, კულტურის ზრდისთვის, ან გარე მარკეტინგის, ბრენდინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის. ასეთი ფორმის ბლოგს კორპორატიული ბლოგი ეწოდება და საკმაოდ წარმატებულადაა ათვისებული სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ ახლა იკიდებს ფეხს, იდგმება პირველი ნაბიჯები ამ კუთხით. ზოგი ბლოგი ფოკუსირებულია გარკვეულ თემაზე, როგორიცაა მაგალითად, პოლიტიკური ბლოგები, ბლოგი მოგზაურობასა და ტურიზმზე, მოდისა და სხვადასხვა „ივენთების" შესახებ, კლასიკური ან სხვა სახის მუსიკის ბლოგები, იურიდიული ბლოგები. ბლოგი, რომელიც არ არის წესიერი ტიპის და გამოიყენება სპამისთვის ცნობილია როგორც – სპლოგი (Splog). ბლოგის ერთ-ერთი ტიპია კითხვა-პასუხზე დაფუძნებული ბლოგი, რომელიც პასუხობს შეკითხვებზე. შეკითხვები შეიძლება გაიგზავნოს მკითხველის მიერ ფოსტის, კომენტარის, ტელეფონის ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. ქლოგი (Qlog) გამოიყენება პოდკასტებში თვალსაჩინოებისთვის ან ინტერნეტში ინფორმაციის გავრცელებისთვის. ბევრი ქლოგი იყენებს RSS სინდიკაციას როგორც კითხვებზე გაცემული პასუხების გამოქვეყნების საშუალებას.

ბლოგზე საუბრისას ჩნდება სიტყვა „ბლოგოსფერო", რომელიც ასე უნდა განიმარტოს: ბლოგოსფერო არის ყველა არსებული ბლოგის საერთო სახელი. რადგანაც სხვადასხვა და ძალიან ბევრი ბლოგი არსებობს, რომელიც ერთ სივრცეში - ინტერნეტ სივრცეშია განთავსებული ისინი შესაძლოა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემა ან ქსელი. ამ სოციალურ სივრცეში, „ბლოგოსფეროში" წარმოებული განხილვები, მსჯელობები და დადებული მასალები უნდა მივიჩნიოთ საზოგადოებრივ აზრად, რომელიც გავლენას ახდენს მასების დამოკიდებულებაზე კონკრეტულ თემებსა და საკითხებზე.




ხშირად სწორედ აქ ყალიბდება ხალხის ფართო მასების რადიკალური თუ ნეიტრალური პოზიცია.

**ქართული ბლოგოსფერო ძალიან სწრაფად ვითარდება, უფრო და უფრო მეტი ადამიანი რეგისტრირდება ბლოგ სისტემებში.** იზრდება სურვილი საკუთარი თავის გამოხატვისა და ხალხთან ამ სახის ურთიერთობისა. პირად ბლოგებზე ირჩევა საზოგადოებრივი პრობლემები, იწერება გასართობი, შემეცნებითი შინაარსის სტატიები. გარდა პირადი ბლოგებისა ქართულ ბლოგოსფეროში უკვე გამოჩნდა პოლიტიკური შეხედულებების ამსახველი ბლოგები, კულინარიული ბლოგები, სილამაზესთან და ქალურ რჩევებთან დაკავშირებული მრავალავტორიანი ბლოგები. ასევე ბლოგები ფოტოგრაფიის, მუსიკის, ბიზნესის, ეკონომიკისა და საბანკო—ფინანსური სექტორის შესახებ. აქტიურად ამუშავდა ქართული ბლოგინგის სისტემა ლოგ.გე, თუმცა ყველაზე პოპულარული ქართული ბლოგები მაინც უცხოურ დომენებზეა განთავსებული, უმეტესწილად Blogger.com და WordPress.com-ზე. მათი მომხმარებლები საკმაოდ საინტერესო სამყაროს ქმნიან ქართული ბლოგოსფეროს სახით და დიდწილად უწყობენ ხელს ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ აზრს. ქართველ ბლოგერებზე საკმაოდ ბევრი რამის დაწერა შეიძლება, ეს სფერო საკმაოდ კარგადაა განვითარებული, მაგრამ პრობლემა სხვა რამეა: ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ხალხის ფართო მასებისთვის ბლოგინგი და ბლოგის კითხვის, ასე ვთქვათ კულტურა, არაა მაღალ დონეზე. ეს ჩანს ბლოგზე დატოვებული კომენტარებიდან: ერთ კონკრეტულ ბლოგზე ძირითადად შეხვდებით მხოლოდ ბლოგერის მეგობართა კომენტარებს და სხვა, ფართო მკითხველისგან ნაკლებადაა ინიციატივა და სურვილი საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებისა, თუნდაც პოსტის შეფასებისა. მეგობრები კი ყოველთვის ობიექტურნი ვერ იქნებიან შეფასებისას. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, მეტი კარგი და საინტერესო, სასარგებლო ბლოგების არსებობისთვის. საბოლოოდ, უნდა ვთქვათ, რომ ბლოგი ეს არის ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ შექმნილი საიტი ნებისმიერ თემაზე, სხვადასხვა პროფილით და ემსახურება პიროვნების მთლიანად რეალიზებას, საზოგადოებასთან კონტაქტს და საზოგადოებრივი აზრის შექმნას. ბლოგი არის საინფორმაციო-შემეცნებითიც და გასართობიც. ბლოგოსფერო სწრაფად განვითარებადი მოვლენაა და ამ მხრივ საქართველოშიც არის პროგრესი, იქმნება ახალი და ვითარდება ძველი, იზრდება მოთხოვნა ბლოგზე, როგორც სოციალურ ქსელზე.

1.ბლოგერები კონკურენტუნარიანები არიან — ქსელში მილიონობით ბლოგია. მხოლოდ WordPress.com-ზე განთავსებულია დაახლოებით 75 მლნ. არის კიდევ Blogger, Tumblr და სხვა პლატფორმებიც. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბლოგერი დაინტერესდა საკმაოდ სპეციფიკური სფეროთი (მაგ. ახალგაზრდა შიმპანზეების მომწიფების პერიოდი), მას მაინც გამოუჩნდება კონკურენტი. იმისათვის, რომ იყო საუკეთესო, თავდაუზოგავი შრომაა საჭირო.

2.ბლოგერები უნივერსალურები არიან — საავტორო ბლოგი — ესაა მინიგაზეთი, რომლის შტატშიც ერთადერთი თანამშრომელია. იგი ავტორიცაა, კორექტორიც, და რედაქტორიც. მკითხველი სტატიის ხილვისას, არც კი უფიქრდება, ცოდნის რა მარაგი უნდა აამოქმედოს ბლოგერმა, რომ უბრალოდ მოწონება დაიმსახუროს. გრამატიკა, სტილისტიკა, HTML, SEO, დიზაინი და ფსიქოლოგიაც კი — კარგი ბლოგერი ყველა ამ სფეროში ექსპერტი უნდა იყოს.

3. ბლოგერი ფლობენ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს — თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ბლოგის ავტორისათვის მთავარია გამართულად წერა, ცდებით. დიახ, ორთოგრაფია და პუნქტუაცია საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ გარდა ამისა, ბლოგერი ტექნიკაშიც კარგად უნდა ერკვეოდეს. თუ საუბარია პერსონალურ ბლოგზე, არავინ მოვა თქვენთან მის გასაკეთებლად. მოგიწევთ დამოუკიდებლად გაერკვეთ პროგრამირების, ვებდიზაინისა და სოციალური ქსელების წვრილმანებში.

4. ბლოგერები მარკეტინგის სპეციალისტები არიან — დაწერე სტატია, გამოაქვეყნე და ამით მორჩა საქმე? ვერ მოგართვით! საჭიროა, რომ მიზნობრივმა აუდიტორიამ წაიკითხოს ის და აქციოს "ვირუსად". ამისათვის ბლოგერები სწავლობენ ინტერნეტ-მარკეტინგის სტრატეგიებს: საძიებო ოპტიმიზაცია, სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელება, კონტექსტური რეკლამა... ამას სკოლაში არ ასწავლიან. ამ ყველაფრის სწავლა დამოუკიდებლად უწევს დიასახლისს, რომელსაც კულინარული ბლოგი აქვს.

5. ბლოგეროზა სარისკოა — განვითარებასთან ერთად ბლოგი საჭიროებს უფრო მეტ ყურადღებას. ბლოგერები ტოვებენ სამსახურს და მთელ ამ დროს უთმობენ ბლოგს. ამ მომენტიდან ბლოგერი = მეწარმეს. მას აკისრია მთელი ფინანსური რისკი, მხოლოდ მის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული შეძლებს თუ არა საკუთარი ბლოგით ფულის გამომუშავებას.

6. ბლოგერები არც ისე ცუდი ბიზნესმენები არიან — რადგანაც ფინანსებზე დავიწყეთ საუბარი, აღვნიშნოთ: იმისათვის, რომ მიიღოს ფული, ბლოგერს უწევს ბიზნესმენობა. კლიენტების ძიება, გაყიდვები, პარტნიორული პროდუქტის წინ წაწევა, რეკლამა — ეს იმ ბიზნეს-ოპერაციების მინიმალური მოცულობაა, რომლის შესრულებაც ბლოგერს ყოველდღიურად უხდება. ამის წყალობით მრავალი ბლოგი, მცირე პირადი გვერდიდან ზრდასრულ ბიზნეს-პროექტად იქცა.

7. ბლოგერები კარგი მმართველები არიან — მათ სწორად უნდა მართონ თავიანთი დრო. სწორ დაგეგმვაზეა დამოკიდებული რეგულარულად განახლებადი იქნება თუ არა ბლოგი. გარდა ამისა, კოლექტიური ბლოგის შემთხვევაში მისმა ავტორმა უნდა მართოს ჯგუფი: ავტორების ძიება და შერჩევა, კონტენტ-მენეჯერების დისტანციური მუშაობის ორგანიზება და კონტროლი. ბლოგერი ეს არის ადამიანი, რომელიც იღებს მრავალ მნიშვნელოვან და მმართველობით გადაწყვეტილებას ყოველდღიურად.

8. ბლოგერები შემოქმედებითი ადამიანები არიან — ნიჭიერი ადამიანი ყველაფერში ნიჭიერია — ეს გამოთქმა სავსებით მიესადაგება ბლოგერის მახასიათებლებს. მთლიანად ტექსტური ბლოგებიც კი მოითხოვენ ფოტო და ვიდეო მასალას. ამიტომაც ბლოგერები — შემოქმედებითი ადამიანები არიან, რომლებიც ავლენენ თავიანთ ნიჭს სხვადასხვა სფეროში — მწერლობა, ფოტოგრაფია, ვიდეოგადაღება და სხვა.

9. ბლოგერები მკვლევრები არიან — კარგი ბლოგერი ყოველთვის არის მკვლევარი, იგი არ აკეთებს ფუჭ განცხადებებს, შესწევს უნარი არგუმენტირებულად გადმოსცეს საკუთარი აზრი.

10. ბლოგერები ხელს უწყობენ ხალხის განათლებას — ხალხი კითხულობს ინფორმაციას, რომელიც რაღაც ახლის მომცემია. თქვენი აზრით, რატომ მოსწონთ მოგზაურთა ბლოგები? ნებისმიერი ტრაველ-ბლოგი ეს არის სხვა კულტურის გაცნობა. ბლოგერები თავიანთ მკითხველებს საკუთარ ცოდნას უზიარებენ, რითაც მათ ცოტათი მეტად განათლებულებს ხდიან.

11. ბლოგერები აყალიბებენ საზოგადოების აზრს — ბლოგი დისკუსიის მოედანია. ადგილი, სადაც შესაძლებელია ღიად დააფიქსირო საკუთარი პოზიცია. ავტორიტეტული ბლოგერის მიერ გამოთქმული აზრი მალევე ხდება პოპულარული. ბლოგი — დიდი ძალაა, რომელსაც შეუძლია, გავლენა იქონიოს ადამიანის გონებასა და განწყობაზე. ტყუილად კი არ გამხდარან შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები და პოლიტიკოსები ბლოგერები.

12. ბლოგერები მოწესრიგებულები არიან — ბლოგერი, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, არასდროს გამოაქვეყნებს ცრუ ინფორმაციას, არ შეურაცხყოფს აუდიტორიას. იგი აცნობიერებს საკუთარი პასუხისმგებლობის დონეს. ამიტომაც,ბლოგერი ვალდებულია, დაიცვას კომპიუტერული ეთიკა და საყოველთაოდ მიღებული მორალის ნორმები.

თქვენ შეიძლება დაეთანხმოთ ამ სიას, შეიძლება არა. ერთი რამ უდავოა: ბლოგინგი მძიმე შრომაა. ქსელში მილიონობით მოქმედი ბლოგია. პატივი ეცით ბლოგერებს! თუკი გადაწყვეტთ გახდეთ ერთ-ერთი მათგანი, გახსოვდეთ: ყველას არ გამოუვა, მაგრამ ცდა ღირს.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# სიძლიერეს არ გააჩნია სქესი

ზოგიერთ მამაკაცში ცნება „ძლიერი ქალი“ იწვევს გაღიზიანებას. ხშირად ეს იმის ბრალია, რომ სიტყვა „ძლიერს“ ისინი აიგივებენ „დამოუკიდებელთან“, რაც მათ კიდევ უფრო აშფოთებთ.

ვფიქრობ, რომ ამის უკან იმალება შიში. შიში იმისა, რომ ისინი ნაკლებად ეყვარებათ, რადგან ამ სიტყვებიდან დაახლოებით ისე ჩანს, თითქოს დამოუკიდებელ ქალს საერთოდ არ სჭირდება მამაკაცი, მაგრამ ეს ასე არ არის. ძლიერი ქალი ეს არის ქალი, რომელსაც აქვს შინაგანი ბირთვი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მტკიცე ხასიათი. არა მკაცრი ან ბრაზიანი, არამედ სწორედ მტკიცე. ეს არის პრინციპებისა და საკუთარი შეხედულებების მქონე ადამიანი, რომელიც ისეთი ნებისყოფის პატრონია, რომ შეძლებს გაუმკლავდეს თითქმის ყველანაირ ცხოვრებისეულ სირთულეს.

სიტყვა ძლიერი– ასევე შეგვიძლია მივაკუთვნოთ მამაკაცებსაც, თანაც ისე, რომ არ ვიგულისხმოთ ფიზიკური ძალა. ძლიერი ადამიანი არის ის, ვინც წაქცევის შემდეგ ახერხებს წამოდგომას, რაც არ უნდა მოხდეს. მსგავს ცხოვრებისეულ მომენტებში მამაკაცისთვის ძალიან კარგია, თუ მის გვერდით ძლიერი ქალია, იმიტომ რომ ქალი არ ატირდება თქვენს ცუდად ყოფნაზე, არამედ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის რომ თქვენ თავი უკეთ იგრძნოთ. ის არ მოგაწყენთ თავს უფულობაზე წუწუნით, თუ თქვენ დაკარგავთ სამსახურს, მას შეუძლია თავად დაიწყოს მუშაობა. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა თქვენ მუდმივად ახლოს ხართ თუ ხანგრძლივ მივლინებაში იმყოფებით, ის ყველა შემთხვევაში განაგრძობს შვილების ღირსეულად აღზრდას.

ძლიერმა ქალებმა, რომლებიც ქარხნებსა და სოფლად დღე-ღამეში 12-14 საათს მუშაობდნენ, შეძლეს ომის გადატანა და მის მძიმე შედეგებთან გამკლავება. ამიტომ ცხადია, რომ სიძლიერეს არ გააჩნია სქესი, ეს არის ზოგადი ადამიანური თვისება. დამოუკიდებელი ქალი ეს არის ყველაზე მტკივნეული სიტყვათა შეთანხმება მამაკაცებისთვის. რატომ? იმიტომ, რომ კაცების უმრავლესობისთვის არც ისე სახარბიელოა ქალის დამოუკიდებლობა მამაკაცისგან, მათ ხომ სწორედ ასე ესმით ამ სიტყვების მნიშვნელობა. თუმცა სინამდვილეში დამოუკიდებელი ქალი ხომ კიდევ ერთი პლუსია მამაკაცისთვის. ის თქვენს გარეშეც მტკიცედ დგას ფეხზე და არ ჩამოგეკიდებათ კისერზე მისი თან წაყვანის მოთხოვნით, რადგან დამოუკიდებელ ქალს თავისი საქმეებიც ბევრი აქვს. ის არ მოგთხოვს ფულს, რადგან საკუთარი შემოსავალი ექნება და მხოლოდ მაშინ მიიღებს თქვენგან საჩუქრებს, როცა თქვენ მისთვის სიხარულის მინიჭება გენდომებათ. ის არ გაყიდის თქვენს ურთიერთობას საჩუქრებზე. თქვენ შეგიძლიათ იყოთ დარწმუნებული, რომ ის მხოლოდ სიყვარულისთვისაა თქვენთან და არა ბინის, ფულის ან სამსახურის გამო. მას ნამდვილად უყვარხართ. მისი არჩევანის თავისუფლება თქვენ გაშინებთ , მაგრამ ზუსტად ეს უნდა განიჭებდეთ თვითდაჯერებულობას, რადგან ამ ქალისთვის საუკეთესო ხართ.



სხვა ადამიანის გვერდით ყოფნას შეუძლია გაამრავალფეროვნოს და უფრო მძაფრი გახადოს ესა თუ ის მომენტი, მაგრამ არ შეუძლია განსაზღვროს იქნებით თუ არა ბედნიერი ან უბედური. თვითმყოფადი ქალებიც და მამაკაცებიც საკუთარი კეთილი ნებით იწყებენ ურთიერთობებს. ისინი ისწრაფვიან რათა ერთად შეიგრძნონ სიყვარული, გამოავლინონ ახალი მხარეები საკუთარ თავში, მიიღონ და გასცენ.

# ქართველი ქალები პოლიტიკაში

დემოკრატია ნებისმიერი ადამიანის სათქმელს გულისხმობს, მსოფლიო მოსახლეობის 50%-ს ქალები შეადგენენ მიუხედავად ამისა, ისინი არ მონაწილეობენ სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვინაიდან მათ არ აქვთ საკმარისი წვდომა პოლიტიკურ რესურსებთან, შესაბამისად ამ კუთხით აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა დაბალია, ამიტომ საერთაშორისო ნორმებთან და გენდერულ თანასწორობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად გაუმჯობესებას საჭიროებს, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ კი ზემოთ მოხსენებული მოსაზრების სისწორეში მეტად ვრწმუნდებით, ვინაიდან არჩევნების შემდეგ, ქალთა წარმომადგენლობის წილი **ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე 11.1% შეადგენს მაშინ,როცა მოსახლეობის 53% ქალია, ხოლო მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში 20% პროცენტსაც ვერ აღწევს რთულია ვისაუბროთ ამ მხრივ პროგრესის ნიშნებზე.**

ქალთა ჩართულობა, მონაწილეობა და წვდომა ფორმალურ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე უკავშირდება უამრავ სხვადასხვა სტრუქტურულ და ფუნქციურ ბარიერს მიმაჩნია, რომ ქალთა არ ყოფნა პოლიტიკურ არენაზე გამოწვეულია შემდეგი სახის დაბრკოლებებით:პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური,იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით.

პირველი ბარიერი ქალებისთვის არის პოლიტიკური კულტურისთვის დამახასიათებელი ტრადიციული დამოკიდებულება ქალების გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციასთან დაკავშირებით. ტრადიციების მიხედვით ქალის უპირატეს მოვალეობად, კვლავაც დედისა და დიასახლისის როლი რჩება, მძლავრი პატრიარქალური ღირებულებები კი მეტად ართულებს მათ მონაწილეობას საჯარო სივრცეში, რადგან ისინი კვლავაც ინარჩუნებენ სქესის მიხედვით სეგრეგაციას.

ხშირად ვხვდებით ისეთ მოდელებს, როცა შეჯიბრებითობა და კონფრონტაციის იდეა უგულვებელყოფს თანამშრომლობასა და კონსესუსს, ეს ძირითადად დამახასიათებელია პარტიული კუთვნილების შემთხვევაში, ამ ყველაფრის შედეგად კი ქალები უარს ამბობენ მამაკაცის სტილის პოლიტიკაზე ან მთლიანად მიდიან პოლიტიკიდან, რომლის გამოც ძალიან ცოტა მათგანი იღებს პოლიტიკაში მონაწილეობის გადაწყვეტილებას.

UNDP-ის კვლევის მიხედვით საქართველოს მოსახლეობას სჯერა, რომ პოლიტიკა კაცის საქმე უფროა, ხოლო ქალებს ამ საქმეში შეზღუდვები



უნდა ქონდეთ ეს გამოკითხვა მეტად გვეხმარება მივხვდეთ იმ ბარიერების არსებობაში, რასაც ქალები აწყდებიან ქართულ პოლიტიკაში. მიმაჩნია, რომ დღეს დემოკრატიული სახელმწიფოს სრულყოფისთვის აუცილებელია კონსტრუქციული თანამშრომლობა და არ არის ადგილი კონფრონტაციისა და ურთიერთბრალდებებისთვის.

შემდეგი და ალბათ ყველაზე მთავარი არის – ინსტიტუციური ბარიერი, არის გენდერული კვოტის არარსებობა . „კვოტა“ ლათინური სიტყვაა და ის რისამე დასაშვებ რაოდენობას, მიღებულ ნორმას გულისხმობს, ხოლო გენდერული კვოტა მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისგან იგი ეფექტური საშუალებაა გენდერული თანასწორობისთვის.

ამ კუთხით საქართველოში პირველი ნაბიჯები 2011წელს გადაიდგა – პარტია, რომელიც პროპორციული საარჩევნო სიის ყოველ ათეულში ორ ქალ კანდიდატს წამოაყენებდა საბაზრო დაფინანსების 10%-იან დანამატს მიიღებდა, 2014 წელს საბიუჯეტო წახალისება გაიზარდა, თუმცა შედეგების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხოლოდ 24 ქალით არის წარმოდგენილი, ხოლო 2017წლის 12 ივნისს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა პარლამენტში კიდევ ერთხელ შეიტანა გენდერული კვოტირების კანონპროექტი, ინიციატივის მიღების შემთხვევაში კი პარტია ვალდებული იყო სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარმომადგენელი ყოფილიყო.

NDI-ის გამოკითხვებით ნათლად ჩანს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება ქალებისა და მამაკაცების პოლიტიკური მოღვაწეობის მიმართ არათანმიმდევრულია ერთი მხრივ საზოგადოება ეთანხმება გენდერულ კვოტას, რადგან ქალების რაოდენობის ზრდას გულისხმობს ეს კი „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ ბაზისს ქმნის, ხოლო მეორე მხრივ სკეპტიკურად უყურებენ მდედრობითი სქესის პოლიტიკაში ჩარევას.

გენდერული თანასწორობის სრულყოფილად მისაღწევად ამ ბარიერების მოსაშლელად აუცილებელიაგენდერული კვოტირების ინტეგრირება, სქესის სწორი პოზიციონირების გათვალისწინებით პროცენტი უნდა წარმოადგენდეს ფართო განსჯის საგანს, თუმცა მისაღები ვარიანტია 35%, რათა პარლამენტში სქესთა შორის ბალანსი დამყარდეს სწორად . „კრიტიკული მასის“ კონცეპტს მთავარი ადგილი უჭირავს პარლამენტში,ქალების ცალსახა უმცირესობაში ჰყოფნის კვლევაში. გენდერისა და პოლიტიკის მკვლევარების აზრით, მანამ არ მოხდება ქალთა ბარიერების გაქრობა, სანამ დაქსაქსული პოლიტიკიდან კოლექტიურ ბრძოლაზე არ გადავლენ.

ქალებისა და მამაკაცებისთანაბარი მონაწილეობა პოლიტიკურ და საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შეიძლება ითქვას, პლურალური დემოკრატიის გულისგულია, გენდერული კვოტა კი ეფექტური მექანიზმია პოლიტიკურ ინსტიტუტებში სწრაფი ბალანსის მისაღწევად, სწორედ მას შეუძლია გააქროს ბარიერი, რადგან ის გამუდმებით იქონიებს გავლენას პოლიტიკურ შედეგებზე. შესაძლოა , საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ დღეს, როცა საქართველოს ქალი პრეზიდენტი ჰყავს ეს პრობლემები მოგვარებულია, თუმცა კვლევები მაინც არ გვიჩვენებს ამ კუთხით პროგრესის ნიშნებს

ქალთა ხედვა ნიშნავს, გახადო მდედრობითი სქესის ხედვა ხილვადი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამის აუცილებელი წინაპირობა კი „დომინანტი“ ჯგუფის შეგნებაში ევოლუციის მოხდენაა, რათა დროულად შეწყდეს პატრიარქალური დამოკიდებულებები .

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინსტიტუციური, სტრუქტურული და კულტურული დაბრკოლებები ის მნიშვნელოვანი ბარიერებია, რომლებსაც აწყდება ქალები პოლიტიკაში და მათი გადალახვა იქნება მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი გენდერულ საკითხებში.

**გვერდი მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# „კორონობამ“ რა ჰქმნა?!



***სამსახურიდან შუადღეს გამოვდივარ. დაახლოებით 15:45 სთ-ია. ერთი კვირაა რაც თითქმის სამთვიანი კარანტინის შემდეგ მუნიციპალური ტრანსპორტი აღდგა და დღეს პირველად მიწევს მგზავრობა. სამსახურის გრილი შენობიდან გარეთ გამოსვლისას ისეთი ცხელი ჰაერი მხვდება, თითქმის ზუსტად ვიცი, ახლა რომ ტელეფონს დავხედო, მინიმუმ 30 გრადუსი იქნება. ამიტომ, ზედმეტად არ ვეხები ყველასთვის მნიშვნელოვან ნივთს და გზას ვაგრძელებ. ჩანთას ვამოწმებ: საფულე - აქაა, ნიღაბი - მიკეთია, ხელთათმანებიც - აქაა. ესე იგი, თამამად შემიძლია ჩემი და ტრანსპორტის სამთვიანი შეხვედრის მოლოდინი აღარ გავახანგრძლივო.***

დაახლოებით 5 წთ მჭირდება ტრანსპორტამდე რომ მივიდე. აუტანელი სიცხის მიუხედავად არ ვჩქარობ, დრო მაქვს. ნელა დავუყევი პარკს. ამ მცირე დროში შემეძლო იმის შემჩნევა და აღმოჩენა, თუ ნიღბის მორგების რამდენნაირი ფორმა არსებობს: თავზე ქუდივით, ნიკაპზე შარფივით, შუბლზე სათვალეს როლში, მოკლედ ბევრია. ალბათ, გინახავთ. ნიღბის ყოფნა არ ყოფნა, რომ დაგაეჭვებთ, აი, ის მომენტი მაქვს. თან მეცინება ქუდშარფნიღაბმოსიარულე ადამიანებს რომ ვუყურებ, რაღაც კომედიას ჰგავს, რომელიც ტრაგიკულობის ნიშნებსაც კი ატარებს. ამ ფიქრებში ვარ და აი, ისიც გამოჩნდა. პირბადეს ვიკეთებ, ხელთათმანებს ვირგებ და ტრანსპორტში ავდივარ.

პირველი, რაც თვალში მხვდება, გრძელი, ფასებშეცვლილი მიმართულებების სიაა. ფასები მომატებულია. ჩვეულებრივი მგზავრისთვის ბევრადაც კი. გავვოცდი, რადგან წელიც ასე მომატებული ფასით დავიწყეთ. მახსოვს, მაშინ ძალიან დიდი უკმაყოფილება იყო მგზავრებში ამ ფაქტთან დაკავშირებით. ვნახოთ, დღეს რა იქნება - მეთქი, ვფიქრობ, და ადგილს ვარჩევ დასაჯდომად. ავარჩიე. მივდივარ და ვჯდები.

დრო მიდის. ტრანსპორტში მხოლოდ ოთხი ადამიანი ვართ. ორიც, სავარაუდოდ, გარეთ იცდის და ამ შემხუთველ სიცხეს „ეფიცხება“. მძღოლი მოდის და ყველას ჩუმი, მაგრამ სიხარულის ამოძახილი აღმოგხვდა, რადგან არ დაგვავიწყდეს, ტემპერატურა გარეთ, ალბათ, 30 გრადუსს გასცდა. ამასობაში 4 საათიც შესრულდა და მძღოლი ღიმილით გვეუბნება: „აბა, ყველა მზად ვართ? ჯერ უსაფრთხოება“ და სადეზინფექციო ხსნარს გვასხამს ხელებზე. ჩემი ხელთათმანიანი ხელიც არ დაინანა და ფრაზის: „უი, მართალია თქვენ ხელთათმანი გიკეთიათ“ შემდეგ, მეც დამასხა. ალბათ, არ მეკუთვნოდა,მაგრამ მაინც. ყველას ნიღაბი გვიკეთია, ხელები დაგვიდეზინფექციეს და დავიძარით. ამ დროს ხდება ის, რასაც თითქოს ველოდი - ჩვენს წინაშე პირველი უკმაყოფილო წინადადება წარსდგა მთელი თავისი „დიდებულებით“: „ნიღბით დღეს კინაღამ ცუდად გავხდი, ახლაც, რომ ვიკეთებ, ასე მგონია, ჰაერი არ მყოფნის და ვიგუდები, არ ვიცი, რა მეშველება“-შუახნის ქალბატონია წინა სკამიდან. მაინც იკეთებს ნიღაბს. გვერდით ასევე შუახნის ქალბატონი, თითქოს ამშვიდებს და ეუბნება: „არაუშავს, ჯარიმებია ახლა უნიღბობაზე, როგორმე უნდა გავძლოთ, სადამდეც შევძლებთ“ და ისიც კმყოფილ-უკმაყოფილო შვილიშვილსაც არგებს ნიღაბს და თვითონაც ნიღბის საფარქვეშ აქცევს სახეს. ბავშვი უხმოდ ემორჩილება. სხვა გზა მას კი არა, ჩვენც არ გვაქვს.

**ჩვენი ტრანსპორტი გზებს კეცავს და კეცავს.**

ტრანსპორტი, სადაც კორონავირუსამდე თითქმის ადგილს ვერ ნახავდით და ნაცნობ-მეგობრობა გჭირდებოდათ მის დასაკავებლად, დღეს ცარიელია. ისეთი ხალვათობაა, რომ წყვილმა ხელის გადახვევაც კი შეძლო ჩემს გვერდით. „სიყვარული ძალსა შენსა“- გამიელვა თავში და მომენტალურად, ისევ ტემპერატურაზე ვფიქრობ, გარედან რომ შიგნით აღწევს და მართლა ხორშაკი ქარივით „ელამუნება“ სახეს. ვგრძნობ, პირბადე, ნელ-ნელა ჩემს სახეზე ეკრობა და ზუსტად ის ეფექტი აქვს, აი მჭიდროდ, რომ უნდა გვქონდეს სახეზე, ცხვირზე, ნიკაპზე მორგებული. რატომღაც მეგონა, რომ ყველას სალაპარაკო თემა არსებული მდგომარეობა იქნებოდა. შევცდი. კორონავირუსი, არსებული რეგულაციები, მომატებული ფასებიც კი არავის გაუპროტესტებია. მან სადღაც, მეასე ფლანგზე გადაინაცვლა. გაკვირვებული ვარ.

**ჩვენი ტრანსპორტი კი გზებს კვლავაც კეცავს და კეცავს.**

უცებ სიჩუმე ირღვევა და წინ მსხდომი ქალბატონები შინაური საქმეების გარჩევას იწყებენ: ვის როგორი მოსავალი აქვს წელს, რომლის შვილიშვილი როდის მიდის სკოლაში, პენსიების მატება რომ სასიხარულო ამბავია, მაგრამ პროდუქტები ძვირდება. მოკლედ, ჩვეულებრივი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო „რა, სად, როდისაა“ გამართული. ცოტა ხანში ეს მცირედი ხმაურიც წყდება და ისევ ცხელი ქარის ხმა იკავებს ადგილს. ყველა ჩუმადაა. გული არ მითმენს და ფასების უდიდეს სიას შევხედე. სულო და გულო, ფასებია? იცოცხლე. რეკლამასავით იკითხება: იხდიდი ერთ ლარს? ახლა იხდი 1.50-ს, იხდიდი 1,50-ს, გადაიხდი 2 ლარს. იხდიდი 2,50-ს, ახლა გადაიხდი 3 და 4 ლარს. გულში ვფიქრობ, სანამ ჩავალ, იმას მაინც ვიკითხავ, რატომ, რანაირად, საიდან ამხელა ფასები - მეთქი. ახლა გრძელი სიის შემდეგ აკრძალვებს შევხედე. ერთი აკრძალვა დამატებულა: „პირბადის გარეშე მგზავრობა აკრძალულიაო“. ჯერ ამ აკრძალვას შევხედე, შემდეგ წინ მჯდომ სახეზე ნახევრად ნიღაბ აფარებულ ქალბატონს და გამეცინა: ალბათ, როგორი კანონმორჩილი მოქალაქეები ვართ, სახით თუ არა ჯიბით, ნიკაპით, თავით მაინც ვატარებთ ნიღაბს. ქუჩაში მოსიარულე ხალხი გამახსენდა. კვლავ სიჩუმეა.

**ჩვენი ტრანსპორტი კი გზებს კეცავს და კეცავს.**

ჩემი ჩასვლის დრო მოვიდა. მომატებული მგზავრობის ფასისთვის თანხა გავამზადე, ჩვენგან გამოყოფილი მძღოლისკენ მივდივარ და აი, იმ კითხვას ვახმოვანებ, მთელი გზა რომ თავში მიტრიალებდა: „რითაა გამოწვეული მომატებული ფასები?“. ხურდას ეძებს, ძებნის პროცესში კი არც ჩემი კითხვა რჩება უყურადღებოდ. მპასუხობს: „არსებული რეგულაციებით. მართალია ახლა ავმუშავდით, მაგრამ ხალხი არაა, თითქმის არავინ დადის.“ იმ იმედით, რომ კითხვაზე უარყოფით პასუხს მივიღებ, ახალ კითხვას ვუსვამ და თან ნელ- ნელა სხვა მგზავრს ვუთმობ გზას: „იმედია, ფასები კიდევ არ მოიმატებს და ამის შესახებ ადრევე იქნება მოსახლეობა გაფრთხილებული“. პასუხად ღიმილიანი, ორმაგი უარყოფა მივიღე: „არა, არა, აღარ გაძვირდებაო“ და ჩემი მგზავრობაც დასრულდა.

**ტრანსპორტმა გზა დაკეცა. გაძვირებული, მაგრამ აუცილებელი გზა. შემცირებული მგზავრებით, მაგრამ მაინც საჭირო გზა. საჭირო რეგულაციებით, მაგრამ მაინც უკმაყოფილო გზა. სახლისკენ მივდივარ და ვფიქრობ, რამდენადაა მზად ჩვენი მოსახლეობა მომატებული ფასებისთვის, რამდენად შევძლებთ წესების სრულყოფილად დაცვას და რამდენად აისახება ეს ჩვენს სოციალურ ყოფაზე. არ ახალია, რომ კორონავირუსმა და საყოველთაო კარანტინმა ჩვენი, ყველას ცხოვრება შეცვალა და ახალ რელსებზე გადაგვიყვანა. მაგრამ, სხვა ბევრ რამესთან ერთად, ის რაც მაინც აუცილებელ საჭიროებად რჩება, ეს გადაადგილებაა. დაკეცილმა გზამ, ყველაფერი გადაატრიალა. იმაზე ვფიქრობ, „გამოცხადებული მაღალი ტემპერატურის ქრონიკებს“ ადამიანი როგორ გაუძლებს და სახიდან ნიღაბს ღრმა ამოსუნთქვით ვიხსნი.**

**გზა დაიკეცა.**

ქუქუნა ყანჩაშვილი

# ალოობა დაიწყო...

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ალოობა დაიწყო. 11 ივნისს შირაქის ველზე ქერის ყანა გაიჭრა. როგორც ადგილობრივი ფერმერები ამბობენ, წელს მარცვლეული კულტურების უხვ მოსავალს ელიან. მათი ინფორმაციით, ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა 4 ტონას შეადგენს.

სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა მობილიზებულია და მისი დეფიციტი წელს არ იქნება.

ადგილობრივი ხელმძღვანელობის ინფორმაციით, მარცვლოვანი კულტურების მოსავლის ასაღებად 100 ერთეული კომბაინია მობილიზებული. როგორც დედოფლისწყაროში აცხადებენ, წელს ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მოსავალი საჭირო ვადებში აიღონ და უდანაკარგოდ დააბინავონ. საშემოდგომო სამუშაოებისთვის სრულ მზადყოფნაშია 300 ერთეული სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.





# გენეტიკა, მშობლები და ჩვენ

*ენეტიკაზე საუბარი ან ბავშვის დაბადებისთანავე იწყება, ან მაშინ, როდესაც პაწაწინა გაიზრდება, რაიმე გენიალურს ჩაიდენს, ქვეყანას აალაპარაკებს (ასეთ შემთხვევაში მამა ირწმუნება, რომ შვილი მისი გენების მატარებელია) ან არცთუ ისე სახარბიელო საქციელით გამოიჩენს თავს (ამ შემთხვევაში მამა ყოველთვის აღნიშნავს, რომ შვილის გენეტიკაში დედის გენები მძლავრობენ).*

ყველა ადამიანმა ასე თუ ისე იცის, რომ გარეგნობასა და ხასიათს დედისა და მამისგან ნაანდერძევ გენებს უნდა უმადლოდეს (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით). თუ ბაბუის ან დეიდის ანდერძზე კიდევ შეიძლება გარკვეულწილად ვიმოქმედოთ და გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ შევაცვლევინოთ, მემკვიდრეობას, რომელსაც მშობლებისგან გენების სახით ვიღებთ, რაც უნდა ვიღონოთ, ვერაფერს მოვუხერხებთ. ყველაფერი თავისთავად წყდება...

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანის სიცოცხლის საიდუმლო ერთმანეთზე გადაგრეხილ ორ უწვრილეს ძაფშია დამალული. ეს გახლავთ დნმ, იგივე დეზოქსირიბონუკლეინმჟავა, რომელიც ყველა უჯრედის ბირთვშია მოთავსებული. დნმ ძაფზე აცმულ მძივს ჩამოჰგავს, სადაც მძივის თითოეული ბურთულა, არც მეტი, არც ნაკლები, ქრომოსომას წარმოადგენს. სწორედ ქრომოსომებშია ჩაქსოვილი ასეულობით გენი. საბოლოო ჯამში ერთი დნმ ასიათასობით გენის მატარებელი ხდება, რომელთაგან ნახევარი დედისეულია, ნახევარი — მამისეული.

**საზოგადოდ, დნმ-ში არსებული ყველა ქრომოსომა, გარდა მამაკაცის სასქესო ქრომოსომებისა, რომლებიც მხოლოდ სასქესო უჯრედებში — გამეტებში მოიპოვება, დაწყვილებულია. სულ 23 წყვილია (ესე იგი, 46 ცალი). ქრომოსომები განაყოფიერებისას წყვილდებიან და ხდება ისე, რომ გენების შეხვედრისას ერთი მათგანი მეორეს უსიტყვოდ ემორჩილება. უფრო სწორად, ორი ერთნაირი (დედისა და მამის) გენის შეხვედრისას მხოლოდ ერთი ავლენს თავს. სწორედ ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული მომავალი თაობის ესა თუ ის (მამისეული თუ დედისეული) თვისება. ასეთ გენს დომინანტური ეწოდება, დათრგუნულ გენს კი გენეტიკოსებმა რეცესიული შეარქვეს. მომავალ თაობას რეცესიული ნიშანი რომ გამოუვლინდეს, ასეთი გენი ორივე მშობლისგან უნდა გადაეცეს, დომინანტურის გამოსავლენად კი ისიც საკმარისია, აქტიური გენი მხოლოდ ერთი მშობლისგან ერგოს.**

**რამდენიმე წლის წინ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამერიკული ფილმი „გატაკა“, რომელიც მხატვრულად ასახავდა მომავლის ადამიანების ცხოვრებას, სადაც „შემთხვევით“ ჩასახულ ადამიანს ნორმალური არსებობის არავითარი პირობა არ გააჩნია: მომავალში ბავშვები დაკვეთით, წინასწარ განსაზღვრული, მშობლების მიერ საგანგებოდ შერჩეული გენეტიკური ნიშნებით ჩნდებიან! გენების ამგვარი სელექცია როგორც ფიზიკურ, ისე ფიზიოლოგიურ ნაკლოვანებას გამორიცხავს, ბავშვები კი ჯანმრთელები, ლამაზები, გონიერები იბადებიან. ამგვარია ფილმის შინაარსი. რეალურად კი არჩევანი, კარგად ვიცით, არ არსებობს. როგორ დაწყვილდებიან გენები, რომელი იაქტიურებს და რომელი დაიჩაგრება, არავინ იცის.**

**მამისეული და დედისეული გენების შეხვედრისას უსაზღვროდ ბევრი კომბინაცია შეიძლება შეიქმნას. გენეტიკურ ჯაჭვში გენები შემთხვევით იკავებენ თავ-თავიანთ ადგილს. სწორედ ამგვარი შემთხვევითობის წყალობითაა, ათასნაირი (და კიდევ მეტი!) ადამიანი რომ არსებობს.**

ალბათ, გაგიგონიათ (თუ თქვენს ოჯახშივე არ არის მსგავსი სიტუაცია), რომ შავთმიან მშობლებს ქერა ბავშვი გაუჩნდათ. დამნაშავე? რაღა თქმა უნდა, გენების თავისებური კომბინაციაა. შესაძლოა, ადამიანს დედისგან თმის ფერი ერგოს (ე.ი. დედის თმის ფერის განმსაზღვრელი გენი უფრო აქტიური, ჩვენებურად — დომინანტური აღმოჩნდა), მამისგან — სიმაღლე, ბებიისგან — ხასიათი, ბაბუისგან — უხასიათობა...

ალბათ იტყვით, ყველაფერს გენებს მაინც ვერ დავაბრალებთო, ადამიანის ინდივიდუალური თვისებების ჩამოყალიბებაზე გარემოც ხომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენსო... რა თქმა უნდა, გარემო, რომელშიც ადამიანი წლობით ცხოვრობს, მის ხასიათს ძლიერ კვალს აჩნევს, მაგრამ რაკი ამჯერად გენების მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ და მემკვიდრეობითობის ლაბირინთებში დავძვრებით, მეცნიერების (სავარაუდოდ, გენეტიკოსების) ერთ ფრიად საინტერესო აზრს მოგახსენებთ: აბსოლუტურად ყველა დაავადებისადმი მიდრეკილება, ნებისმიერი თვისება მემკვიდრეობითია. ტრავმა რომ ტრავმაა, რომელიც ადამიანმა ლურსმნის დაჭედებისას ხელზე ჩაქუჩის დარტყმით მიიღო, ისიც გენების ბრალი ყოფილა. როგორ? მარტივად: ასე ემართებათ მოუხელთებელ, მოუსვენარ ადამიანებს, რომლებსაც ეს თვისება, რაღა თქმა უნდა, მშობლებისგან ერგოთ მემკვიდრეობით, და მათ, ვინც მხედველობას უჩივის — ეს პრობლემაც გენეტიკური ხასიათისაა!



**მეტად პატივცემულმა პიროვნებამ, 2001 წლის ნობელის ლაურეატმა პოლ მორისმა, ამგვარი რამ დაანონსა: „სულ რაღაც 20 წლის შემდეგ ყოველ ახალდაბადებულს გენეტიკური პასპორტი გადაეცემა. უფრო ზუსტად, მეტრიკა, სადაც დეტალურად იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია მისი გენეტიკური მახასიათებლების შესახებ”.** ასეთი ვარაუდი ბატონმა მორისმა მას შემდეგ გამოთქვა, რაც 2000 წელს გენეტიკოსებმა გენომის გაშიფვრა მოახერხეს და თამამად განაცხადეს, რომ ისინი სამყაროს გადაარჩენდნენ. როგორ? როგორ და ასე: ადამიანის გენომის ცოდნა თურმე ფარმაკოლოგიაში ახალ ახალი მწვერვალების დაპყრობას გვპირდება: მას შემდეგ, რაც პაციენტის გენომში ამა თუ იმ დაავადების გამომწვევ გენს აღმოაჩენენ, მისთვის ინდივიდუალურ მედიკამენტსაც შექმნიან. თუ ფარმაკოლოგიამ ეს ვერ შეძლო, დაზიანებულ გენს გენური თერაპია მიხედავს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ეს მიღწევა კრიმინალისტიკისა და სასამართლო მედიცინისთვის, რომელთაც პიროვნების იდენტიფიკაციის პრობლემა, ფაქტობრივად, მოეხსნებათ. საკმარისია, შემთხვევის ადგილას იპოვონ ბოროტმოქმედის თმის ღერი, თუნდაც კანის უჯრედი, რომ მისი გენომური პორტრეტი თვალის დახამხამებაში აიგება და დამნაშავე მხილებულ იქნება.

გენეტიკური კვლევის მეთოდები საქართველოშიც არის დანერგილი, თუმცა გენეტიკური პასპორტის აღება აზრად ჯერ არავის მოსვლია. საზღვარგარეთ ეს ანალიზი 712 ათასი დოლარი ღირს და მიუხედავად მაღალი ფასისა, ამ უჩვეულო პასპორტის მიღების მსურველთა რიცხვი საოცრად დიდია. მიუხედავად იმისა, რომ გენომის გაშიფვრას მომავლის ადამიანის ჯანმრთელობისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს (გენეტიკოსთა აზრით, ეს მკურნალობასა და პროფილაქტიკას წარმოუდგენლად ეფექტურს გახდის და ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც 90 წლამდე გაიზრდება), არის ხალხი, ვინც ამ ფაქტს სკეპტიკურად უყურებს. მათი აზრით, გენეტიკური ინფორმაციის ცოდნამ შესაძლოა გენეტიკური ნიშნით დისკრიმინაციას დაუდოს სათავე: სადაზღვევო კომპანიებმა ამა თუ იმ გენეტიკური ხინჯის მქონე ადამიანები არ დააზღვიონ ან მათგან დიდი თანხები მოითხოვონ. ასევე, შესაძლოა, გენეტიკური პასპორტი სამუშაოზე მიღების კრიტერიუმად იქცეს ან წყვილებს გენეტიკური პასპორტის წარდგენამდე სულაც არ მისცენ ქორწინების ნება (წარდგენის შემდეგ კი, გამორიცხული არ არის, ერთ-ერთმა მეორე გენეტიკური ნიშნით დაიწუნოს და ქორწინებაზე უარი თქვას). სკეპტიკურად განწყობილი მეცნიერები იმასაც ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ბოროტმა ადამიანებმა ადამიანის გენომის მონაცემები ახალი ტიპის ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად და რომელიმე პოპულაციის გასანადგურებლად გამოიყენონ.

**მიუხედავად იმისა, რომ მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, გენომის გაშიფვრა მაინც დადებით მოვლენად იქნა შეფასებული. მომავლის მედიცინა გენეტიკოსთა იმედზეა. გენები ტრადიციაზე პასუხს არ აგებენ.**

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

# უბედური შემთხვევა დედოფლისწყაროში

უბედური შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროში. სოფელ საბათლოსთან, მდინარე ალაზანში, მაშველებმა მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

გარდაცვლილი 59 წლის გიორგი ანთაური, რომელიც მდინარეში სათევზაოდ 11 ივნისს შევიდა, ალაზნის ნაპირებზე მდებარე ფერმაში მუშაობდა.საძიებო სამუშაოებში ჩართული იყო როგორც კახეთის სამაშველო ჯგუფები, ასევე თბილისის სწრაფი რეაგირების განყოფილების მყვინთავები. **„ცხედარი უკვე ნაპოვნია და ამოყვანილი“, -** აცხადებენ საგაგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

სავარაუდოდ, გარდაცვლილს გურჯაანის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენებენ.

# ძლიერმა სეტყვამ ყვარლის მუნიციპალიტეტი დააზარალა

11 ივნისს ძლიერმა სეტყვამ და ქარმა ყვარლის მუნიციპალიტეტი დააზარალა.

წინასწარი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის სამი სოფელი, შილდა, საბუე და ალმატი დაისეტყვა. ძლიერმა ქარმა, ყვარლის საავტომობილო გზაზე ხეები წააქცია. მაშველებმა საავტომობილო მაგისტრალი მალევე გაწმინდეს. ადგილობრივები ამბობენ, რომ უამინდობა, დაახლოებით ოც წუთს გრძელდებოდა.

**,,სეტყვა დაახლოებით ოც წუთს გრძელდებოდა. ქროდა ქარიც. ვენახების 70- 80 პროცენტი განადგურებულია”,** — განაცხადა სოფელ შილდის მკვიდრმა, **დავით დინგაშვილმა.**

ვენახების გარდა, ყვარლის მუნიციპალიტეტში დასეტყვილის საკარმიდამო ნაკვეთებიც. ზარალის ზუსტი ოდენობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები იუწყებიან, სამმართველოს ყოფილი მთავარი ინჟინერ-მექანიზატორის გურამ ნათელაძის მეუღლის

ვენერა ნათელაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მათ შვილებს: დავით და ნანა ნათელაძეებს

**მონატრება**

## მალხაზ ნასრაშვილი



30 აპრილს ერთი ტკივილიანი წელი გავიდა უშენოდ, - შენ მოგიკვდეს დედა, ჩემო გაუხარელო შვილო, შენს სურათებს ვკოცნი, ვეფერები და ველაპარაკები...ძალიან მენატრები, გენაცვალოს დედა. სულ შენი ხმა მესმის, „დედავ“ - როგორც ბავშვობაში დამიძახებდი ხოლმე. დიდობაშიც ხომ ისევ ისე მეძახოდი და აი, ეს ხმა „დედავ“! შემომესმა ახლაც. აღარ ვიცოდი რა მექნა, ავდექი, ავანთე შუქი, აქეთ-იქეთ ვათვალიერებ, გეძებ...მერე ფანჯარა გავხსენი და გავიხედე, საიდანაც ხმა შემომესმა. რაც დრო გადის, ყოველი დღე უფრო და უფრო მტკივნეული და გაუსაძლისია...დედის გულს არაფერი უმსუბუქებს ტკივილს. პირველ იანვარს შენი დაბადების დღე, მე და ლილი დეიდას სიძე დემურიმ, შენს სამუდამო განსასვენებელთან მოგილოცეთ. შენ ხომ ძალიან გიყვარდა დაბადების დღის აღნიშვნა. როგორია დაბადების დღის აღნიშვნა შვილის საფლავთან უბედური დედისათვის?! კორონავირუსის გამო კარანტინი იყო და ამის გამო, 30 აპრილს ვერ გამოვაცხადე შენი წლისთავი. ლაურაც თბილისიდან ვერ ჩამოვიდა. ის მეუღლე დემური მაჩხაანში ნატოს სახლს არემონტებს და შენი დაბადების დღეც და წლისთავიც სიძე დემურმა გაიზიარეს. ის იყო ჩემი გულშემატკივარი. ისიც შვილმკვდარი მამაა და ჩემს მდგომარეობაში მეტად შედის. ჩემო ლამაზო, უბოროტო შვილო, შენ ხომ სიკეთის განსახიერება იყავი ყველგან და ყველასთან. სიკეთის გაცემა იყო შენი ცხოვრების აზრი. არაფერს ზოგავდი, თუნდაც შენ არაფერი დაგრჩენოდა. ჩემო საყვარელო შვილო, შენ ჩემს გულში სულ ცოცხალი იქნები. დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა და დანთებულმა სანთლებმა მუდმივად გაგინათოს გზა მარადისობაში. შენი ნახვის მონატრებული დედა,

მარგო ბენაშვილი, და ლაურა ნასრაშვილი, დისშვილი თამარ შამათავა, სიძე-რევაზ შამათავა.

# „ვირუსის ფონზე გამოწვეულ კრიზისს მალე დავამარცხებთ...“



ათწლეულების მკაცრი ეკონომიკის და სიდუხჭირის შემდეგ, ფინანსური დანაზოგი უკიდურესად დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი სივრცეები ნელ-ნელა იხსნება, ქვეყანა მზარდი ეკონომიკური კრიზისის წინაშე დგას. რა მდგომარეობაშია ისედაც ეკონომიკურ კოლაფსში მყოფი ოჯახები, გზადაგზა ჩვენი რესპოდენტებისგან შევიტყობთ. დღეს ჩვენი სტუმარია მარტოხელა დედა, რომელიც, მიუხედავად გაჭირვებისა, იმედიანად უმკლავდება ყველა სირთულეს და თავს უკეთესი, ხვალინდელი მომავლის იმედით მხნედ გრძნობს.

ეკატერინე ვარდიშვილი, 46 წლის, პროფესიით სამართალმცოდნეა. 2010 წლიდან დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ უმუშევარი დარჩა. მას, როგორც მარტოხელა დედას, ორი ვაჟიშვილის აღზრდა ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე უწევს.

**- ეკა, მოგვიყევით, როგორც მარტოხელა დედა, კონკრეტულად რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდი?**

– როგორც მარტოხელა, უმუშევარ დედას, რა თქმა უნდა, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის მსგავსად, მაქვს ეკონომიკური პრობლემები ხანგრძლივი უმუშევრობის გამო. ადრე ვსარგებლობდი სოციალური დახმარებით, რითაც ჩემს შვილებს ვარჩენდი და პრობლემებს ვუგვარებდი, მაგრამ ჩემი უფროსი ვაჟის სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის გამო, ავტომატურად შეგვიჩერდა ეს დახმარებაც და კვლავ აღმოვჩნდით გაუსაძლისი კრიზისის პირისპირ. არადა, ბავშვების გამოსაკვებად, ჰიგიენური საშუალებებისა და ტანსაცმლის შესაძენად, ბინის ქირის გადასახდელადაც კი ამ დახმარებას ვიყენებდი... დღეს გაუსაძლის მდგომარეობაში ვართ... უმცროსი ვაჟი იღებს მხოლოდ კვების ბარათს, ეს თანხა კი უმცირესია. მეხმარებიან პენსიონერი მოხუცი დედა, ძმა, ახლობლები და ვარსებობთ დღიურად...

**– რამდენად იმოქმედა თქვენი ოჯახის გინდ ეკონომიკაზე, გინდაც სოციალურ ურთიერთობებზე ვირუსით გამოწვეულმა შეზღუდვებმა?**

– ჩემი ოჯახისთვის ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებით გართულდა ვირუსით გამოწვეული შეზღუდვების დროს, მაგრამ მე, როგორც მარტოხელა დედას, მთავრობის დადგენილებით ხსენებული კვების ბარათის (30 ლარიანი) და 20 ლარის გარდა, 90 ლარი დამენიშნა, რომელიც ერთხელ უკვე ავიღე და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ცოტა სული მოვითქვით...

**– რით ახერხებთ ოჯახის გაძლოლას? 2010 წლის შემდეგ გქონია თუ არა სამსახურის დაწყების მცდელობა?**

– უკვე მოგახსენეთ, რომ 10 წელია ვარ უმუშევარი და, ასე თუ ისე, ვუმკლავდებით სირთულეებს. მქონდა სამსახურის დაწყების არაერთი მცდელობა, თუმცა უშედეგოდ... პანდემიის პირობებში ძირითადად მოხალისედ მიმაქვს სათნოების ბენეფიციარებისთვის პროდუქტი ბინაზე. ჩემზე უკეთ ვინ იცის გაჭირვების ფასი, ჰოდა, ჩვენს მოხუცებს რომ არ ეგრძნოთ ეს, მათთან ყოველდღიურ რეჟიმში მიმაქვს საკვები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის ფაფებს, ბოსტნეულს, კვირაში 4-ჯერ ხორცს და ხილის კომპოტს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ვაკეთო საკუთარი საქმე, მცირე ბიზნესი წამოვიწყო, მაგრამ უმუშევარს სესხს არ მაძლევენ, ამიტომ წარმოუდგენელია საკუთარი საქმის წამოწყება. რთულია, შიშველი ხელებით, პატიოსნად ანგარიშვალდებული იყო ოჯახის და სახელმწიფოს წინაშე და ყველაფერი შეძლო.

**– რა აზრის ხარ შექმნილ ვითარებაში ჩვენს სამედიცინო პერსონალზე?**

– უდიდეს პატივს ვცემ დღევანდელ მდგომარეობაში ჩვენი ექიმების თავდადებას და თავგანწირვას ვირუსთან ბრძოლის საკითხებში. განსაკუთრებით ამირან გამყრელიძეს, რომლის შვილსაც პირადად შეხვდა ეს დაავადება, ის კი სხვების შვილებზე, მშობლებსა და და-ძმებზე აგრძელებდა ზრუნვას, მისთვის ასე მძიმე სულიერ ფონზე. რაც შეეხება მთავრობას, შეძლებისდაგვარად ცდილობს ეკონომიკური და ვირუსული საფრთხისგან გამოიყვანოს ქვეყანა და თუნდაც მცირე თანხით დაეხმაროს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ფენას. იმედია, საქართველო შეძლებს კრიზისიდან თავის დაღწევას.

**– გვიამბე იმ მოხუცების თაობაზე, რომლებთანაც მიგაქვს პროდუქტი, როგორ გადაიტანეს პანდემიური პერიოდი...**

- ჩემი მოხუცები, რომლებიც საყოველთაო კარანტინის პერიოდში იყვნენ თვითიზოლაციაში, არ გადოდნენ გარეთ, არ კონტაქტობდნენ მეზობლებთან, სახლში ყველანაირად აღჭურვილები იყვნენ როგორც პირბადეებით, ასევე სადეზინფექციო ხსნარებით, ხელთათმანებით, ახალგაზრდებზე მეტად იცავდნენ წესებს.

**– ამ გადასახედიდან, ასეთი ეკონომიკური კრიზისის ფონზე როგორ უყურებ შენი ოჯახის, შვილების მომავალს?**

– მიუხედავად ამ კრიზისული ფონისა, მე მაინც იმედიანად ვარ განწყობილი. ჩემი შვილი დაბრუნდა სავალდებულო სამსახურიდან და თვითონ გადაწყვეტს, რა გზით გააგრძელოს ცხოვრება. უმცროსი ჯერ მეცხრე კლასში გადავიდა და იმედი მაქვს, მალე ყველაფერი კარგად იქნება, გადაივლის ეკონომიკური და ვირუსული კრიზისები და ხელისუფლება შეძლებს მოსახლეობის და მომავალი თაობების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მანამდე ჩვენ ყველას მოთმინება, სიმშვიდე და წესების დაცვა გვმართებს.- გვეუბნება ჩვენი რესპოდენტი და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ასეთ გაჭირვებაში თავს ასე მხნედ და იმედიანად რომ გრძნობ, ესე იგი, სულ არ არის საჭირო არც ბევრი ფული და არც თანამდებობა, არის კიდევ რაღაც შინაგანი სიძლიერე და სტიმული, რომელიც ან გაქვს, ან-არა!

**იმედი მაქვს, ჩვენი საზოგადოება ყველა კრიზისს მართლაც მალე დაძლევს და კვლავ აქტიურ რეჟიმში, ძველებური ხალისით გააგრძელებს ცხოვრებას.**

**ესაუბრა**
ელზა ხარაშვილი

## ულოცავენ!

**ლევან საბიაშვილს!**
**ირმა ბეგიაშვილს!**

ლევან საბიაშვილსა და ირმა ბეგიაშვილს ვულოცავთ ნანატრი შვილის, მარიამის შეძენას. პატარა მარიამს ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებით აღსავსე წლებს. გამრავლდეს და გაიხაროს. უფლის მფარველობა და წყალობა არ მოჰკლებოდეს.

დავით გოგიშვილი, ნათია ნასრაშვილი


## ი ყ ი დ ე ბ ა !

დედოფლისწყაროში იყიდება ბინა ბელეტაჟზე. ბინა უზრუნველყოფილია გაზით, დენით, წყლთა და კანალიზაციით. აქვს დამხმარე სათავსოებიც. ფასი შეთანხმებით.
ტელეფონი: 558-634-702

იყიდება რუმინული გარნიტური „მირონა“, სრული კომპლექტი. ფასი შეთანხმებით.
ტელეფონი: 599 25-70-58


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 15.06 | | სამშაბათი 16.06 | | ოთხშაბათი 17.06 | | ხუთშაბათი 18.06 | | პარასკევი 19.06 | | შაბათი 20.06 | | კვირა 21.06 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 28° | 20 ° | 29° | 24 ° | 27° | 20° | 28 ° | 20° | 28 ° | 23 ° | 26° | 20 ° | 33 ° | 23 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.